645
1965/ჲ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

აპრილი
№ 4 1965 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის პირველი ლაურეატები





საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შოთა რუსთაველის პრემიების რესპუბლიკური კომიტეტის წარდგენის თანახმად მიანიჭა შოთა რუსთაველის სახელობის 1965 წლის რესპუბლიკური პრემიები ქართული საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებისათვის:

1. ირაკლი ბესარიონის-ძე აბაშიძეს — ლექსებისათვის „პალესტინა, პალესტინა“ (ციკლიდან „რუსთაველის ნაკვალევზე“).

2. ელგუჯა დავითის-ძე ამაშუკელს — ქანდაკებისათვის „ქართვლის დედა“.

3. კონსტანტინე სიმონის-ძე გამსახურდიას — რომანისათვის — „დავით აღმაშენებელი“.

4. ვლადიმერ (ლადო) დავითის-ძე გუდიაშვილს — უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შექმნილი ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოებებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვ. ი. ლენინი

ქანდაკება იაკობ ნიკოლაძისა

9753.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და
მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი

გამოცემის მე-9 წელი

№ 4 აპრილი 1965 წელი

# საქართველოს ქალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აიშე



მთამტირალადან ღრუბლები მოდის. მზე ალმაცერად იხედება და მერე სულ ქრება. ღრუბლები არ ჩქარობენ, მოდიან ნელა, ჩაის ბუჩქებს ჩრდილებად ადგებიან. ჩრდილები იკავებენ მზის ადგილს ფოთლებზე. ჩაის არ უყვარს ავდარი. ეცლია ამ ცოდვით სავსეს, იქნებ მოეკრიფა ორიოდე გროშის საფასური ფოთოლი იუსუფს, რვა შვილის მამას. ჩაის მეურნეობა პოპოვებისაა, ეს ფოთლებიც პოპოვებისაა და იუსუფიც პოპოვებისათვის შრომობს. სადღაც, კვლებში თეთრი კაბა გაიელვებს, მერე თეთრ კაბაზე შავი წინწკლები ამოიზრდება. გოგო პატარაა, ათის არ იქნება და დაფეთებული აცეცებს თვალებს.

— აქეთ, აიშე, აქეთ, — ხელს უქნევს იუსუფი და მისკენ მიდის. გოგო მორბის ბუჩქებში, კვალიდან კვალში ხტება, ტანს ჭიმავს და მძიმედ სუნთქავს. მამა თვალებში უყურებს თავის მერცხალას და პატარა ხელიდან დიდ კოკას აცლის. აიშეს ესმის, როგორ რაკრაკებს წყალი მამის ყელში. მერე მამა თვალებს ხუჭავს და შუბლზე ეცემა მსხვილი წვეთი.

— წვიმაა. არიქა, შვილო, გაიქეცი. მე არა მიშავს, თუ დავსველდები, — ამბობს მამა.

— ხედავ, მთა ტირის, მამა. ალბათ, ამიტომ ჰქვია მას მტირალა, — ხელს იშვერს გოგონა და თეთრი კაბა ტოკავს წვიმისაგან.

ღამით, ოროთახიან ფიცრულში ანთია დიდი ცეცხლი და ორთქლი ასდის მამის მხრებსა და ზურგს. პატარა გოგო შესცქერის გაშტერებით და მეათეჯერ ისმენს ამბავს:

„თურქები რომ შემოესიენ ქვეყანას, დიდიან-პატარიანად ხალხი იმ მთისკენ დაიძრა. მთის ფერდობზე დიდრონი, განიერი ხეებია და მტრის თვალისაგან დაგვიფარავსო.

ხალხი მთის უბეში ტირილით ათენ-ალამებდა და მთასაც მთამტირალა შეარქვეს“...

ორთქლი აღარ ასდიოდა მამის მხრებსა და ზურგს. ცეცხლი ჩალეულიყო და ოთახში ბნელოდა. მბჟუტავ ალზე ზურგი თანდათან იხრებოდა და აიშეს უკვირდა: რამ მოხარა ზურგი, პოპოვების გოდრების ზიდვამ თუ მთამტირალას ამბის გახსენებამ.

პლანტაციაში სიმღერა გაისმა. პირველად ესმოდა აქედან სიმღერა აიშეს. ჩაი ჩვენია და არა პოპოვებისო. მერე უთხრეს, კოლექტივში მამშენი პირველი შევიდა და ჩაის ვაშენებთო. სად ბარი გამოძებნეს, სად ნიჩაბი იპოვეს და მიწა გადააბრუნეს. სოფელში, ვინაც მჭედლობა იცოდა, სახლის წინ კაკუნი აუყენა რკინას. აიშეს სახელზე იუსუფმა გვარიანი კალათა დაწნა და კუთხეში მიდგა, ოთხი წლის მერე ჩვენი გაშენებული ჩაი რომ შემოვა, ჩემი აიშე ამ კალათაში ჩაყრის დუყებსო.

ოთხი წლის მერე აიშე მეოთხე კლასში იყო და ოთხჯერ ათ კილოგრამს კრეფდა.

ცოტა ხნის მერე აიშემ ძმებს დაუჯერა, მისი ტოლი გოგოებიდან კომკავშირში პირველი შევიდა. სოფელ ყოროლისთავში იუსუფის ქალიშვილს კალათა დაუმძიმდა, დიდი თავი გაიკეთა.

რაიკომში დაიბარეს აიშე გურგენიძე. გოგოს საგარეო კაბა ჩაეცვა. კაბამ გასცა აიშეს მოწიფულობა — ტანი აეყარა, მკერდი აწვებოდა. რაიკომში შეხედეს და გაიფიქრეს, როგორ მოუხდებოდა ამ ლამაზ გოგოს კარგი კაბა.

ახალი კაბა შეუკერეს და ახლა სულ სხვა გახდა აიშე. ამ კაბით გააყოლეს აჭარელი მეჩაიე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავზე მოსკოვში გამგზავრებულ დელეგაციას. აიშე პატარა იყო და საპატიო ნიშნის ორდენი მაინც მისცეს.

— ორმოცი კილოგრამი ჩაის ფოთოლი ერთ დღეში მოკრიფა და ახლა 60 კილოგრამს გვპირდებაო, — გადაულაპარაკეს ერთმანეთს ხელმძღვანელმა ამხანაგებმა. ერთი წლის მერე აიშემ დაპირება შეასრულა და საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

პლანტაციაში უფრო ხშირად დარები იყო და თუ წვიმა მოდიოდა, მაინც დარი იყო, მტირალა მთა აღარ ტიროდა და ამიტომ, მთას სახელი შეუცვალეს — მცინარა, ხოლო შემდეგ ცისკარა დაარქვეს.

ომმა ჩამოაბნელა ყველგან. მთამცინარაზეც ჩამობნელდა. გოგოები გადაეჩვივნენ სიცილს და ღიმილს, გოგოები მიეჩვივნენ დღეში 60 კილოგრამი ფოთლის კრეფას და ნოვატორი მკრეფავის აიშე გურგენიძის კვალდაკვალ სიარულს. „აიშე“ — დაიძახებდა გაღმიდან ვიღაც და გამოღმელ ჭილისქუდიანებს ეგონათ, ჩამოვიდაო თბილისიდან სტუდენტი გურგენიძე. აიშე ხომ ყველა მეხუთე გოგოს ჰქვია აჭარაში.

სტუდენტი გურგენიძე თბილისში, ფანჯრებშენიღბულ შენობებს შორის დადიოდა. სტუდენტი გურგენიძე ღამით ვერ ხედავდა თბილისში სინათლეს და უნდოდა წარმოედგინა თბილისი ღამით, ომის შემდეგ. ყველა ფანჯარა იქნება ღია, ფანჯრებიდან სინათლე გაანათებს ჭადრებს, ასფალტს, შეყვარებულებს. აიშეს არ ჰყავდა შეყვარებული, მაგრამ იცოდა, რომ ბევრს ფრონტზე ჰყავდა იგი გაგზავნილი და სურდა, ფანჯრიდან გამოსულ სინათლეს უსათუოდ გაენათებია მაინცდამაინც შეყვარებულები — აქ დარჩენილები და დაბრუნებულები. აიშე ფიქრობდა, რამდენნაირ

მუსიკას მოისმენდა ღია ფანჯრებიდან თბილისურ მშვიდ ღამეებში. ამ ფიქრით მიადგებოდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს. მის კორპუსებში გულშეწუხებული ადამიანები იწვნენ. ინსტიტუტის კორპუსები დაჭრილებს ეკავათ. ლექციების მერე აიშე დაჭრილის თავთან კითხულობდა, როგორ იცავდნენ № შენაერთის ჯარისკაცები უსახელო მაღლობს, როგორ დაეცნენ ერთი გოჯა მიწისათვის. აიშე ხედავდა, როგორ იწეოდა დაჭრილი ზეშოთ, ეყრდნობოდა მკლავებს და ეძახდა ექიმს.

— როდის გამწერთ? — დაუსრულებლად ეკითხებოდა ექიმს თავშეხვეული, თხოულობდა, ბრძანებასაც აძლევდა, მაგრამ ეს არ იყო ფრონტი და აქ მბრძანებლობდა ექიმი.

აიშე აგრძელებდა გაზეთში თავისთვის კითხვას იმისას, რაც იქ არ ეწერა:

„№ შენაერთის ჯარისკაცებმა უსახელო მაღლობის დაცვით ბრძოლის სურვილი აღუნთეს მძიმედ დაჭრილ მებრძოლს, მწოლიარეს თბილისში, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კორპუსში მოთავსებულ ჰოსპიტალში“...

ეს მარტო ერთ ჯარისკაცს კი არ დაემართა, ეს დაემართა ბევრ დაჭრილს, თვით აიშესაც.

ყველაფერი უცბად მოხდა. საექიმო კომისია გაიარა. ჯანსაღად ცნეს. მერე 5 დღის ვადა მისცეს ფრონტზე წასვლამდე. ერთი უშველებელი ზურგჩანთა გაიმზადა, მეგობრებს გამოემშვიდობა. საბოლოოდ მაინც უარი უთხრეს ფრონტზე წასვლაზე: უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ხარ და ზურგში გვჭირდებიო.

ლექციების მერე ისევ დაჭრილებთან იჯდა, ხელში თერმომეტრი ეჭირა და დილის მოლოდინში ჰყვებოდა თუ როგორ შემოდის დილა თბილისში, რა კარგი დილა იცის საერთოდ და რა მშვენიერი იქნება ის დილა, როცა ომი დამთავრდება.

სტუდენტობა თანდათან მიდიოდა. არდადეგების დღეებში აიშე უსასყიდლოდ შრომობდა კოლმეურნეობაში, ეხმარებოდა ფრონტს. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ის აჭარაში ბრუნდება და პარტიის საოლქო კომიტეტში სასოფლო-სამეურნეო განყოფილებაში იწყებს მუშაობას. სალიბაურის ჩაის ფაბრიკის დირექტორად რომ გადაიყვანეს, ყოფილი პოპოვების ფაბრიკის მუშებმა ნდობით შეხედეს. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილედ რომ მუშაობდა კადრების დარგში, ყველა ძველებურად აიშეს ეძახდა მაინც. სოცუზრუნველყოფის მინისტრად რომ დანიშნეს, აიშეს შავი თმა ჰქონდა და ათ წელიწადში სულ გაუთეთრდა. ძნელი იყო მაშინ ომის ინვალიდებზე და ომში დაღუპულთა ოჯახებზე ზრუნვა. ყველა ასეთი გაჭირვებულის ოჯახში მიდიოდა აიშე, თავის ხელით ყიდულობდა მათთვის საპონს თუ საბანს. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე რომ იყო, ქალთა საოლქო კომიტეტსაც ხელმძღვანელობდა და ხულოელი, შუახეველი, ქედელი ქალების ყოფა-ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად ბევრი რამ გააკეთა.

დღეს აჭარის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილესთან აიშე გურგენიძესთან მთხოვნელები ისე შედიან, როგორც თანატოლთან, მეგობართან, გულშემატკივართან. „აიშე“ — ახლაც ასე უბრალოდ მიმართავენ და ეტყობა, მინისტრის მოადგილეს ეს ყველაზე მეტად სიამოვნებს. შემდეგ უყვებიან, რა აწუხებთ, როგორ ცხოვრობენ ოჯახში, როგორ ჰყავთ შვილები. მათთან ერთად გადის აიშე მინდვრებში, ამოწმებს, როგორ სხლავენ ჩაის, როგორ შეაქვთ სასუქი, მეჩაიეებს ამოუდგება გვერდით, წაეხმარება შრომაში და გოდორს გაუვსებს ფოთლით. აჭარაში გასული წლის ჩაის ფოთლის კრეფის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის მადლობის მეტი რა ეთქმით მზის გულზე შეფენილ ადამიანებს, მაგრამ აიშე საუბარში შიგადაშიგ მიმდინარე წლის გაზრდილ ვალდებულებებს გაახსენებს. მერე მეციტრუსეებს ნახავს. ციტრუსი თუ გასულ წელს ძალიან ცოტა მიიღეს, წელს ზარალს აინაზღაურებენ. ორი წლის წინ ზამთრისაგან დაზარალებული ციტრუსები მომაგრდნენ, ახალი ფოთლები წამოზარდეს. ახლა ნაყოფის ზრდა-დამწიფება აღარ გაუჭირდება ლიმონს, ფორთოხალს, მანდარინს. არც მებოსტნეებმა გაიტეხეს პირი, კოლმეურნეებს კარგი ბოსტნები აქვთ. ყველაზე მეტად კი ის უხარებს გულს, რომ აჭარაში ფეხს იკიდებს ვაზი. ვაზი აჭარელ გლეხს ადრეც ჰყვარებია, თურქების შემოსევამდე. თურქებმა აკაფეს და გადააგვარეს ეს კულტურა. კოლმეურნეობებმა ვაზის გაშენება დაიწყეს და თუ 1937 წელს 4,5 ჰექტარი ვენახი იყო აჭარაში, ახლა 493 ჰექტრამდეა მისი ფართობი.

როცა აიშესთან ბევრი ხალხია და თავიანთ სატკივარზე უყვებიან, ტელეფონით შვილი დაურეკავს. ის სახლიდან გასვლის წინ ყოველთვის თხოულობს დედისაგან ნებართვას. დედა ხშირად რაიმე საქმეს გამოუჩენს სახლში, ხან ეუბნება, რომ მამისაგანაც აიღოს ნებართვა, არიგებს, დიდხანს არ დაიგვიანოო. დედა მთელი ცხოვრება მუშაობდა და შვილს ისე ზრდიდა. შვილი დედის სამუშაო ოთახს რომ მიადგება, ქუდს მოიხდის, გაწითლდება, სალამს მისცემს, თუ იქ ვინმეა და ისევ კარს უკან დაიმალება. იცდის, სანამ დედას არ გაახსენდება და არ გახედავს.

სახლში აიშე ხშირად გვიან ბრუნდება. კაბინეტში ყოფნა წარმოუდგენელია მაშინ, როცა მოსავლის ბედი მინდვრებზე წყდება. სოფლის სამუშაო ღვიძლი საქმეა აიშესათვის, რადგან მან ცხოვრება მინდორზე შრომით დაიწყო, რადგან მას კარგად ესმის, რა ძნელია ნამიან ბუჩქებში დგომა, როცა წელს ქვემოთ სველი ხარ და ზემოდან მზე გაჭერს, რადგან მან იცის, ასეთ მშრომელებს რა უნდათ და როგორ დაეხმაროს.

...კვლებს გაჰყვება, ქალებს ჩამოიტოვებს და მიდის, მიდის... უცებ შორს თეთრი კაბა იელვებს, მერე თეთრ კაბაზე შავი წინწკლები ამოიზრდება. „აიშე“ — გაიგონებს და ხედავს: თეთრკაბიანს მისდევენ სხვები — წითელკაბიანები, ცისფერკაბიანები... მოსწავლეები შესევიან ბუჩქებს, მას კი თავისი ბავშვობა ეგონა...

„აიშე“, — ყვირიან გოგონები კვლებში.

ლია კაკაბაძე

## საგაზაფხულო მოტივები

ეროვნული ბიბლიოთეკა

### დიდი სურვილით ფურისულებს...

გაღვივებული პურის სურვილით
იდგა სიცოცხლის ციცქნა ნაკვეთი;
ვარდისფრად ეცვათ ფურისულებსაც
და მზე სწყუროდათ, როგორც სიკეთე.
მისკენ ეჭირათ თეთრი თვალები
და შეცილება ჰქონდათ როგორი! —
გეგონებოდათ, რომ მზის სიმრგვალეს
მიიტაცებდა ერთი კოკორი!
მზეს კი, ნაზამთრალს, ისე სციოდა,
მთლად გათოშილი ჰქონდა მკლავები,
ჭირხლი ეფინა მაღალ წვივებზე
ფერმიმქრალიყო, აკანკალებდა...
და მოიგონეს ფურისულებმა
ფანტასტიური, დიდი გართობა —
რომ ვარდისფერ თუ თეთრი გულებით
შეციებული სხივი გაეთბოთ...
ამოდიოდნენ რაღაც ულევი,
ბუჩქის ძირას თუ შიშველ თიხაზე—
დიდი სურვილით ფურისულების
იდგა სიცოცხლის ციდა ნატეხი...

### ქინძი

შემომეგება ბოსტნის კარებთან
ქინძის ყვავილი — თოვლის ფანტელი,
ვიდრე ბუსუსებს მომაკარებდა
შვინდი ღობესთან გადაპენტილი;
ვიდრე ლობიოს ფოთლები ბრტყელი,
დამისუსხავდნენ ყელსა და მკლავებს,
გამომიწვდიდა კომბოსტო ხელებს
და იტირებდა გულის საკლავად —
რომ მის დიდ ფოთლებს, თბილად
შეფუთულთ,
პეპლის მატლები დღეს უმწარებენ,
ვიდრე პამიდვრის ღერო სათუთი
ჩითის თეთრ კაბას გამიმწვანებდა;
ვნახავდი, როგორ უყვარს მწარე ხახვს
მაღალი კამა — ყვითელ ქოლგებით,
როგორ ეჩხუბა სტაფილო ჭარხალს
და ხარხარებდნენ ჯუჯა ქონდრები;
შემომჩივლებდა ვიდრე ყოველი
საბაბს ტკივილის თუ დაამების,
შემომხვდა ქინძის თეთრი ყვავილი
და სულ მომიყვა ბოსტნის ამბები.

მარი გველესიანი

# მესვეურები

წელს კახეთში მშრალი ზამთარია. ვაზმა ფესვები ვერ ჩაითბო თოვლის საბანში. იმ დღესაც მსუბუქი ფიფქი პირზე შეადნა დედამიწას.

— თუ არ ითოვა, მოსავლისათვის არ ივარგებს, — ხმამაღლა გამოუვიდა ნაფიქრალი მედეა მეზვრიშვილს. იგი უთენია მიჰყვებოდა გზას. ნახევარი გზაც არ გაევლო, რომ გაიამინდა. არ ეამა.

ლამაზი იყო დილის ბურუსში გახვეული თელავი. მეფე-ერეკლეს მრავალჭირნახულ სასახლეს გვერდს უმშვენებდა ნათელი შენობები. მოასფალტებულ ფართო ქუჩებსა და მოედნებზე ყელი მოეღერებინათ მწვანე ნარგავებს და შორით მდგარ ბერმუხას თავს აწონებდნენ.



მედეა მეზვრიშვილი

„გასულ წელს 66 ოჯახი შევიდა კეთილმოწყობილ ბინებში. კიდევ შენდება 50-ბინიანი სახლი", — თითქოს თავისთვის ამბობს მედეა და ხელს იშვერს მაღლაზიდულ ხარაჩოებისაკენ.

აი, გამოჩნდა რაისაბჭოს აღმასკომის შენობაც. მ. მეზვრიშვილს კაბინეტის კართან ხალხი დახვდა. სალამი ვერავინ დაასწრო, ყველა მოიკითხა...

მის დანახვაზე კუთხეში მიმდგარმა ქალმა მანდილი შეისწორა, იმედიანად შეხედა, სწამს სწორ სიტყვას ეტყვის. მის საწინააღმდეგოდაც რომ გადაწყდეს საქმე, მაინც კმაყოფილი დარჩება, დაიჯერებს, რომ სხვანაირად არ შეიძლებოდა, თორემ რაიაღმასკომის თავმჯდომარე თავს არ დაიზოგავს. ხალხი მადლიერია მისი, მრავალ ოჯახში ამტყდარი უსიამოვნება ჩაუწყნარებია, შრომაზე გულაყრილი გულისყურში ჩაუგდია.

ყველგან სწვდება მედეას თვალი. მისი ინიციატივით პანკისის ხეობაში, ქისტებით დასახლებულ მიუვალ სოფელში, კულტურის უნივერსიტეტი ჩამოყალიბდა, მთიან სოფლებში — თეთრ წყლებში და ლეჩურში კლუბები აშენდა.

...საგარეჯოდან რომ თელავში ჩამოვიდა, მედეა მეზვრიშვილს უბეში საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი ედო. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა და ატესტატში ჩაწერილი ხუთიანები გულთან ერთად ადი-ჩადიოდა. თელავის გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურმა ინსტიტუტმა გულღიად მიიღო ბეჯითი გოგონა. ისტორიულ ფაკულტეტზე დაიწყო სწავლა. დიდს და პატარას ყველას თვალში მოუვიდა ჭკვიანი და საქმიანი სტუდენტი, მერე თანდათან გაიზარდა მისი ავტორიტეტი. ინსტიტუტის გარეთაც გაიცნო იგი ახალგაზრდობამ. 1955 წელს მედეა კომკავშირის თელავის რაიკომის მდივნად აირჩიეს. მტკიცედ მოჰკიდა საქმეს ხელი. ჯერ საფუძვლიანად შეისწავლა რაიონის ახალგაზრდობის ცხოვრება და საქმიანობა. გამოირკვა, რომ ბევრი ახალგაზრდა დადიოდა უსაქმოდ. მიზნად დაისახა შრომის ფერხულში მათი ჩაბმა. მაგრამ როგორ? თითქოს არავინ ამბობდა უარს, მაგრამ გული მაინც ვერ დაედოთ შრომისათვის.

ამ მდგომარეობამ ღრმად ჩააფიქრა მედეა.

სოფელში მოწყენილობა; ახალგაზრდებს არაფერი აქვთ გასართობი. უნდა გახალისდეს ცხოვრება. მედეა დაუკავშირდა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს, ჩამოაყალიბეს თვითმოქმედებისა და სპორტული წრეები. სისტემატური ხასიათი მიეცა მხატვრული კინოსურათების ჩვენებას. გამოცოცხლდა და დაინტერესდა სოფლის ახალგაზრდობა, შემჭიდროვდა კომკავშირის გარშემო და შრომასაც ბარაქა დაეტყო. კომკავშირის რაიკომის თაოსნობით ახალგაზრდებმა დაიწყეს სტადიონის მშენებლობა, რაიონის ცენტრში საცურაო აუზი მოაწყეს, გაამწვანეს და გაამშვენიერეს თელაველთა დასასვენებელი ადგილი ნადიკვარი. ჯარასავით ტრიალებდა რაიკომის მდივანი, იტყოდა უნდა გაკეთდესო და აკეთებდნენ კიდეც.

1961 წელს მეზვრიშვილი პარტიის საგარეჯოს რაიკომის მდივნად აირჩიეს, მაგრამ მალე ისევ თელავში დაბრუნდა საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილედ.

დღეს იგი თელავის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა. თავის მუშაობაზე ვერაფერს ათქმევინებთ. მე კი არა, ხალხი აკეთებსო.

სოფელ ნაფარეულში მივდივართ. მედეა ხალისით საუბრობს მომავალის გეგმებზე: მალე დაიწყება ზემოალაზნის სარწყავი არხის მშენებლობა; მოკლე ხანში დამთავრდება კოტონ-წინდების ფაბრიკა; ამ ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებისათვის აშენდება პატარა ქალაქი; ხიდი აიგება მდინარე სტორზე ფშაველსა და ლალისყურს შორის. მოასფალტდება იყალთოსა და შუამთისკენ მიმავალი გზები; შეკეთდება სხვა ისტორიულ ძეგლებთან მისასვლელი გზებიც.

...ნაფარეულში სოფლის საბჭოს თავმჯდომარე ზიზი ხოლუაშვილი შემოგვეგება. ენერგიული, ცოცხალი ქალია ზიზი. საბჭოს შენობასთან რომ მიგვიყვანა, ახალი აშენებული გვეგონა. თურმე ძველი შეუკეთებიათ და ისე შეუკეთებიათ, ძველი აგურიც კი ახლად გამოიყურება. სოფელს ეტყობა მზრუნველი ხელი. ქუჩაში შეხვდებით ბევრ სიახლეს. იქ ბაზარი კეთდება, აქ ახალი ხიდი გადაჭიმულა, კეთილმოწყობილი გახდა ავტოსადგური. ყველაფერი ეს საზოგადოებრივ საწყისებზე აღმოცენდა. 300 კაცმა იმუშავა უსასყიდლოდ.

სოფელში ბევრია მოწინავე ქალი. სოფიო მამალაშვილი მაშინ დატრიალდება, როცა ჰაერი მიწის სუნით გაიჟღენთება, ხის ფულუროში ჩამდგარი წყალი რომ ჩაშრება, ვაზთან დაიწყებს ფუსფუსს. განთქმული მევენახეა, მკლავმაგარი. ორი ქალიშვილი ჰყავს და ორივე მხარში უდგას. შარშან ერთ ჰექტარ ვენახზე გეგმით გათვალისწინებული 52 ცენტნერის ნაცვლად 62 ცენტნერი ყურძენი მოიწიეს.

სოფლებს — ნაფარეულს და ლაფანყურს ზიზი ხოლუაშვილის და პარტორგანიზაციის მდივნის ლეილა ფოთოლაშვილის მზრუნველი ხელი ატყვიათ.

...რიტმულად გუგუნებენ დაზგები თელავის აბრეშუმსახვევ ფაბრიკის ქარხანაში. მდუღარე წყალში თავბრუდამხვევი სისწრაფით ტრიალებენ აბრეშუმის თეთრი და ყვითელი პარკები. საამქროში ორთქლის ბუღია, ძლივს მოჩანან მუშა-ქალები, ისინი ქვაბებს დაჰყურებენ და გამალებით ეძებენ ძაფის წვერს, რომ მგრეხავებს დროზე მიაწოდონ. დაზგებზე ჩონგურის სიმებივით გაჭიმულა აბრეშუმის ძაფები, გამრჯე თითები დარბიან სიმებზე, თავისებურ მელოდიასაც გამოსცემენ, შრომის სიმღერას მღერიან თითქოს.

საყვირის ხმაზე მთელი დღის მუშაობის შედეგები ჯამდება. ესმა ბოჭორიძემ და ეთერ გუბელაძემ შესანიშნავი მაჩვენებლებით დაამთავრეს დღევანდელი დღეც. განსაკუთრებით ესმამ გამოიჩინა თავი. მას დღეს სპექტაკლიც აქვს ფაბრიკის კლუბში. იგი დიდიხანია დრამწრის წევრია და არაერთ პიესაში მიუღია მონაწილეობა.

საღამოს კვლავ ივსება ფაბრიკის ეზო. მუშებს მოუთმენლობა ეტყობათ, ახალი სპექტაკლი უნდა ნახონ. საპატიო დაფიდან ნათელი თვალებით იღიმება ესმა ბოჭორიძე, გვერდში ეთერ გუბელაძე ამოსდგომია. ორივე ფაბრიკის სიამაყენი არიან. სპექტაკლს რაიაღმასკომის თავმჯდომარეც ესწრება. ის ხომ ესმასა და ეთერის, ყველა მუშა ქალის მეგობარია. როცა კომკავშირის რაიკომის მდივნად მუშაობდა, მისი თაოსნობით ფაბრიკის ეზოში თუთის ხეები დარგეს, ამით კომკავშირელებმა აბრეშუმის ჭიას საკვები ბაზა შეუქმნეს. მიღებული საფასურით ახალგაზრდებმა ექსკურსიები მოაწყვეს და ფაბრიკის ეზოში გემოვნებით გაფორმებული საპატიო დაფა დადგეს.

ბევრი გაკეთდა, ბევრიც გაკეთდება. მშვენიერდება და კეთილმოწყობილი ხდება თელავის რაიონი. ამ დიდ საქმეში პარტიის რაიონულ კომიტეტს მხარში უდგას რაიაღმასკომი და მისი თავმჯდომარე, რომლის ლაზათიანი ხელი და გამჭრიახი გონება ყველა საქმეს ატყვია. აკი უთქვამთ: დედაკაცმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარი ვერ დააკავებსო.

**ნუნუ მესხი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სცენის სიამაყე



70 წელი შეუსრულდა ქართული სასცენო ხელოვნების ღვაწლმოსილ ქურუმს, საბჭოთა სასცენო ხელოვნების დიდოსტატს აკაკი ალექსის ძე ხორავას.

აკაკი ხორავა თეატრში მოვიდა მაშინ, როდესაც კოტე მარჯანიშვილის მეთაურობით ძალას იკრებდა და ვაჟკაცდებოდა ქართული საბჭოთა თეატრი და არა ერთგზის მოუხიბლავს მას მაყურებელი ალექსანდრე ახმეტელის წარმოდგენებში.

ქართული თეატრის გმირულ-რომანტიკული ტრადიციების შესანიშნავი განმგრძობი, აკაკი ხორავა განუმეორებელი შემსრულებელი იყო ისეთი გმირული, დრამატული როლებისა, როგორიცაა: ანზორი, კარლ მოორი, ბერსენიევი, არსენა, ოტელო, პლატონ კრეჩეტი, ივანე მრისხანე, მურავიოვი, ოიდიპოსი და მრავალი სხვა.

თვითონ მსახიობი შემდეგნაირად განსაზღვრავს თავის მოქალაქეობრივსა და შემოქმედებით მრწამსს: „ჩემს შემოქმედებით მისწრაფებას წარმოადგენს მასშტაბური, გამსხვილებული სახეები, განთავისუფლებული ყოფითობისაგან, გამსჭვალული დიდი, ყველაფრის შემცველი ვნებების გრძნობით. მე ყოველთვის მივისწრაფოდი და მივისწრაფვი ჰეროიკული ხელოვნებისაკენ".

მოძრაობის იშვიათი პლასტიურობა, ინტონაციებით მდიდარი, ფართო დიაპაზონის ხმა, ზღვა ტემპერამენტი, ზომიერების გრძნობის იშვიათი ალღო, ვაჟკაცური შემართება და კეთილშობილება ყველასათვის მიმზიდველს ხდის მის შემოქმედებას.

საკუთარი გულის სითბოთი გაათბო აკ. ხორავამ მშვიდობისათვის მებრძოლ ადამიანთა — პროფესორ მორის („თანამედროვე ტრაგედია") და ედლაი ჰამილტონის („ტერეზას დაბადების დღე") სახეები, მათში ჩააქსოვა თავისი ფიქრები და მისწრაფებანი.

მოქალაქეობრივი იდეალები ყოველთვის ჰარმონიაშია დიდი მხატვრის შემოქმედებით მრწამსთან. ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე აკაკი არა ერთგზის იყო ხალხის მიერ არჩეული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, არის მშვიდობის მომხრეთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე, ეწევა ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. დიდმა მსახიობმა და თეატრალური ინსტიტუტის პროფესორმა, აღზარდა სცენის მოღვაწეთა მრავალი თაობა.

დაუვიწყარია აკ. ხორავას მიერ შექმნილი სახეები ქართულ კინემატოგრაფიაში, ის თითქოს ხორცშესხმული გამოხატულება გახდა ქართველი ხალხის გმირის გიორგი სააკაძისა...

„დიდებული", „შესანიშნავი", „ბრწყინვალე" — აი, ეპითეტები, რომლებითაც მრავალი წლის განმავლობაში ამკობენ დიდ მსახიობს როგორც მაყურებლები, ისე მომთხოვნი, სერიოზული კრიტიკოსები.

აკაკი ხორავას ჭაღოსნურ ხელოვნებას წლების არ ეშინია. იგი მუდამ სიმაღლისკენ მიისწრაფვის, ალბათ იმიტომ, რომ კავკასიონის კალთებთანაა აღზრდილი.

ნადეჟდა შალუტაშვილი,

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

ვახტანგ ბარათაშვილი

## კაპიტალის სამყაროში

# სარასატეს კონცერტი

მხატვარი ლ. შენგელია

ბოსტონის კონსერვატორიაში სრულიად დაუჯერებელი ამბავი მოხდა: სახელგანთქმულმა პროფესორმა ჩარლზ ჰილსტოუნმა, რომელიც ვიოლინოს კლასს ხელმძღვანელობდა, განაცხადა, რომ მოსკოვში მუსიკოს შემსრულებელთა კონკურსზე გემთსაშენების მფლობელის შვილი ნოელ გილბერტი კი არ წავიდოდა, როგორც ეს გადაწყვეტილი იყო, არამედ ვინმე იუჯინ ბერტრამი.

კაცმა რომ სთქვას, ამაში განსაკუთრებული არაფერი იქნებოდა, იუჯინ ბერტრამი ზანგი რომ არ ყოფილიყო. მაგრამ იგი ზანგი იყო, თანაც არაფერი საერთო არ ჰქონდა კონსერვატორიასთან. საერთოდ, პროფესორი თავისი პირდაპირობით გამოირჩეოდა. ოდესღაც იგი დიდი სახლის მფლობელი გახლდათ; 1951 წელს, კორეაში ომის დროს ერთადერთი შვილი დაეღუპა, იგი მფრინავი იყო. როგორ უნდა წარმოედგინა კაცს, რომ მისი ნეშტი ქვეყნად განიბნა, არსად იყო მისი საფლავი, რომ იმ მხიარული, ჯანღონით სავსე ვაჟკაციდან ფერფლიც კი აღარსად დარჩა.

იმავე წელს პროფესორს ცოლიც გარდაეცვალა — შვილის ჯავრს გადაჰყვა. მაშინ კი გაუსწორა პროფესორმა მსახურებს ანგარიში და ბოსტონის გარეუბნის ერთსართულიან სახლში გადაბარგდა. მასთან ერთად გადავიდა მისი ძველი მეგობარი ჯეკობ ბრუკსიც, რომელიც უკვე ორმოცი წელი იყო, რაც პროფესორის სახლში ცხოვრობდა და რა მოვალეობას აღარ ასრულებდა: იყო მდივანიც, მნეც და კონსულტანტიც კი, რადგანაც მუსიკაში შესანიშნავად ერკვეოდა.

და აი, პროფესორმა ჰილსტოუნმა აღმოაჩინა, რომ მას, ვისაც ამქვეყნად აღარა დარჩენია რა, შესანიშნავ დახმარებას უწევს ვისკი. ჯეკობ ბრუკსმა პროტესტის ნიშნად იაფფასიანი სიგარების წევა დაიწყო და მთელი სახლი აქოთა. პროფესორი იხრჩობოდა, ბრაზობდა, მაგრამ ბრუკსმა განაცხადა: ასე გაგრძელდება, ვიდრე ჰილსტოუნი ვისკს თავს არ დაანებებსო.

ჰილსტოუნმა საპასუხოდ მხოლოდ ჩაიღიმა და სახლში გაზსაწინააღმდეგო აირწინაღით დაიწყო დემონსტრატიულად სეირნობა, როცა წინ ბრუკსი შემოხვდებოდა, თავს გრაციოზულად უკრავდა.

ასე ირთობდა თავს ეს ორი ჯენტლმენი, სანამ ბრუკსს მოთმინება არ დაეკარგა და ერთ მშვენიერ დღეს სიგარები ზიზღით არ გადაყარა. პროფესორმა აირწინაღი მოიხსნა და მთელი დღე გამარჯვებას ზეიმობდა.

მაგრამ, საღამოხანს, ვახშმობისას, როცა პროფესორი ცუნდრუკით სერვანტს მიუახლოვდა, სადაც ვისკის მარაგი ჰქონდა შენახული, სანუკვარი კარი დაკეტილი დაუხვდა.

— რას ნიშნავს ეს? — სთქვა მან წყნარად.

— ექიმმა ეპერიმ მითხრა, — მკაფიოდ დაიწყო ბრუკსმა, — რომ თქვენთვის სმა არ შეიძლება. ეს მის სიკვდილს უდრისო.

პროფესორმა გაიცინა.

— შე მართლა ბებერო საფრთხობელა, რა თავში ვიხლი სიცოცხლეს?

— აი, ხედავ, სადამდის მიხვედით, ბატონო ჩარლზ, — საყვედურით გადაიქნია თავი ბრუკსმა. — კარგი, ვიყო ბებერი საფრთხობელა. მერე მუსიკა? თქვენი მოსწავლეები?

— მოსწავლეები?! რომელ მოსწავლეებზე მელაპარაკები?! ერთ მუჭა მდიდარ, უნიჭო მცონარებზე, მოდური მუსიკით რომ არიან გადარეული?! ისინი ისე ჰგვანან ერთმანეთს, როგორც ქილაში მუხუდოს მარცვლები...

— მაგრამ, — გესლიანად ჩაურთო ბრუსკმა,— კონკურსისათვის მაინც შეარჩიეთ ბატონი ნოელ გილბერტი.

— ,,შეარჩიეთ'', — გამოაჯავრა პროფესორმა.— ვიღაც ხომ უნდა მოგვენახა კონკურსისათვის. ვითომ თითონ არ იცი?!

ბრუკსმა ჩაიხითხითა. რა თქმა უნდა, მშვენივრად იცოდა ყოველივე. პროფესორ ჰილსტოუნს ნოელ გილბერტზე იმიტომ კი არ შეუჩერებია არჩევანი, როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობდა, რომ ნოელის მამას საკუთარი გემთსაშენები ჰქონდა და უოლ-სტრიტის ერთერთი მესვეურთაგანი იყო! რა თქმა უნდა, ნოელზე ნიჭიერი რომ ვინმე ყოფილიყო, პროფესორის არჩევანი ნოელი აღარ იქნებოდა. პროფესორს თავად ჰქონდა მსოფლიო დიდება მოხვეჭილი, ამას ანგარიშს უწევდნენ, მაგრამ საქმე სწორედ იმაში იყო, რომ სხვა ღირსეული კანდიდატურა არ მოიძევოდა, ნოელ გილბერტი კი ცოტათი მაინც სჯობდა სხვებს.

— ასეთი რამ, მხოლოდ შენისთანა ბებერ ქოფაკს შეეძლო ეთქვა, — განაგრძობდა პროფესორი. — ,,შეარჩიეთ''! მყავდა ვითომ მეც შესარჩევი!

— კარგი, ვიყო ბებერი ქოფაკი, — დაეთანხმა ბრუკსი. — მაგრამ არის ერთი ვიღაც... — ბრუკსმა ჩაფიქრებული სახით ახედა ჭერს, — არ მინდოდა, მართალია, ამ ამბავში გამერიეთ...

— რაშია საქმე? — ყურები სცქვიტა პროფესორმა.

— იმაში, რომ იგი ზანგია.

— ოჰ, აი თურმე რა! — გააგრძელა პროფესორმა. — მერე და, როდის დაიწყეთ, ბატონო ბრუკს, კანის ფერის მიხედვით ხალხის დაყოფა? ანდა, იქნებ კუ-კლუქს-კლანის წევრი გახდით?

— აი, ხედავთ, როგორი ხართ! — კმაყოფილებით სთქვა ბრუკსმა. — ისედაც ბრალსა გდებენ, წითლებს თანაუგრძნობსო. კონკურსზე რომ ის ზანგი წაიყვანოთ...

— მოიცა, — შეაწყვეტინა პროფესორმა, — თუ ასე გაწუხებს ჩემი პოლიტიკური უსაფრთხოება, მაშინ რატომ მითხარი?!

— იმიტომ, რომ ნამდვილი მუსიკოსია, — ბრუკსმა დამნაშავესავით გაიღიმა, — თანაც ვიფიქრე, ნამდვილი მუსიკოსი რომ ჰყავდეს, იქნებ, მიანებოს მეთქი სმას თავი.

პროფესორმა სერვანტის ჩაკეტილ კარს თვალი შეავლო და ხმამაღლა ამოიოხრა.

— ჰყავს ვინმე იმ...

— მისი სახელი და გვარია იუჯინ ბერტრამი, — მიაშველა ბრუკსმა. — არავინ არა ჰყავს, ბატონო ჩარლზ, მთლად მარტოა, ოცი წლისაა.

— სად უკრავს?

— რესტორან ,,მწვანე ცხენში''.

— რესტორანში? — გააგრძელა პროფესორმა.— საინტერესოა, რას უკრავს იქ? იქნებ სარასატეს კონცერტს? — გესლიანად ჩაიხითხითა.

ბრუკსი მოიღრუბლა.

— კარგით, — ამოიოხრა მან და წკიპურტით პიჯაკიდან უხილავი მტვერი ჩამოიცალა. — ღმერთმა ხელი მოუმართოს იმ ზანგს, იქნებ, მართლა რამეში გაგხვიოთ. არ ივახშმებთ?

— როგორ არა! — მხნედ სთქვა პროფესორმა. — ოღონდ აქ არა. მე იქ, რა ჰქვია, ,,მწვანე ცხენში'' ვივახშმებ, — ბრუკსს მიუახლოვდა და თვალებში ჩახედა.

— რაკი ეს ბებერი ბაიყუში ამბობს, სადღაც ნამდვილი მუსიკოსი არისო, პროფესორი მისთვის, თუგინდ, ცხრა მთას გადაივლის.

,,მწვანე ცხენში'' მათ მოძებნეს თავისუფალი მაგიდა და ყურისწამღებ ზემოდური მუსიკის ქვეშ პროფესორი ჰილსტოუნი ბრუკსის მიერ შეკვეთილი ვახშმის ჭამას შეუდგა.

— ისე ვატყობ, აქ თუნუქით მუშაობა წარმოებს, არა? — თქვა პროფესორმა და ქათმის კატლეტს დასწვდა. — იუჯინ ბერტრამი მედოლის გვერდით რომ ზის, ისაა, ხომ?

— სწორედ ის გახლავთ, — დაუდასტურა ბრუკსმა, — როგორ მიხვდით, იქ ხომ სამი ზანგია?!

— რა თქმა უნდა, მარცხენა ხელით. ასეთი მარცხენა დიდი ხანია აღარ მინახავს.

როცა ,,თუნუქით მუშაობა'', როგორც იქნა, დამთავრდა, ბრუკსი ესტრადასთან მივიდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედოლის გვერდით მჯდომ ზანგს რაღაცა უთხრა. ზანგი წამოდგა, პროფესორი ჰილსტოუნი თვალით მოძებნა და თავი დაუკრა. პროფესორი გულღიად მიესალმა. ზანგმა კიდევ ერთხელ დაუკრა თავი და ვიოლინო აიღო.

პირველ ბგერისთანავე დარბაზში ხმაური შეწყდა, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. პროფესორმა ჰილსტოუნმა მაშინვე სერიოზული გამომეტყველება მიიღო. სარასატეს ცნობილ კონცერტს უკრავდა იუჯინ ბერტრამი.

რა დიდი უნდა ყოფილიყო ტალანტის ძალა, რომ სასმელ-საჭმელად და მხიარული გოგოების სანახავად მოსული ნახევრადმთვრალი ხალხიც კი სულგანაბული უსმენდა ამ ყმაწვილის დაკვრას. დავიწყებოდათ, რატომ იყვნენ აქ მოსულნი. დარბაზში აღარაფერი იყო ამ უკვდავი ხმების გარდა.

ჩარლზ ჰილსტოუნი გონს მაშინ მოეგო, როცა დარბაზში ზუზუნი განახლდა. თავი აიღო. იუჯინ ბერტრამი ესტრადაზე იდგა და პროფესორს მოლოდინით შესცქეროდა. ჩარლზ ჰილსტოუნი წამოდგა. იუჯინმა შესახვედრად კიბეზე ჩამოირბინა და მოწიწებით დახარა თავი.

— არასოდეს არ მომისმენია ასეთი დაკვრა, — წყნარად სთქვა პროფესორმა. — შესაძლოა ნიკოლო პაგანინი უკრავდა ოდესღაც ასე... ახლა უკვე აზრი აქვს ჩემს სიცოცხლეს. — ცოტახნით შეყოვნდა და გაუბედავად შეეკითხა: — გადმოხვალ ჩემთან?

— დიახ! — აღმოხდა იუჯინს.

მეორე დღეს პროფესორმა თავისი გადაწყვეტილება გამოაცხადა და მთელი ბოსტონი ამაზე ალაპარაკდა... ორი დღის შემდეგ კი ჩარლზ ჰილსტოუნთან ნოელ გილბერტის მწითურთმიანი ლამაზი საცოლე — მერლინ დრეიკი მოვიდა, უმდიდრესი საქონელმრეწველის ქალიშვილი.

— რითი გემსახუროთ? — გალანტურად შეეკითხა ჰილსტოუნი, წელზე ხელი მოჰხვია, მიესიყვარულა, თავის ოთახში შეიყვანა და ერთადერთ რბილ სავარძელში ჩასვა.

— თქვენი ბიჭის მოსასმენად მოვედი, — სთქვა ქალმა, ხელთათმანი წაიძრო და მომწვანო თვალებით პროფესორს შეაჩერდა. — შეიძლება?

ჰილსტოუნს სახეზე მსუბუქმა ჩრდილმა გადაურბინა, მაგრამ მაშინვე სცადა გაღიმება.

— რა თქმა უნდა, თქვენთვის ყველაფერი შეიძლება. მაგრამ, როგორ გაბედეთ აქ მოსვლა, გილბერტები რას იტყვიან?

მერლინმა უზრუნველად გაიღიმა:

— იმათ არაფერი არ იციან.

ჩარლზ ჰილსტოუნმა თავი საყვედურით გადაიქნია. მერლინმა ცნობისმოყვარე მზერა მოავლო იქაურობას; პროფესორთან მაშინ იყო ნამყოფი, როცა იგი დიდი სახლის მფლობელი იყო და გრანდიოზულ მიღებებს აწყობდა.

— ჩემი სიღარიბე გაცბუნებთ? — მიუხვდა პროფესორი და გაიღიმა. — ათასჯერ უფრო მდიდარი ვარ, ვიდრე წინათ. ახლა ისეთ საუნჯესა ვფლობ, რომელსაც ფასი არ გააჩნია.

— მაჩვენეთ მერე თქვენი საუნჯე, — მოაგონა მერლინმა.

პროფესორმა კარი შეაღო და დაიყვირა:

— იუჯინ! ჩემთან შემოდი, შვილო!



იუჯინი მაშინვე პროფესორის ოთახში გაჩნდა. მერლინი რომ დაინახა, შეცბა.

— გამარჯობათ, — გულთბილად მიესალმა ქალი, ხელი გაუწოდა და თავისი სახელი უთხრა. იუჯინმა აღტაცებული მზერა ვეღარ მოაცილა, ფრთხილად მოუჭირა ხელი პატარა ხელზე და გაოცდა, როცა საპასუხოდ ქალმა ენერგიულად, ღონივრად, თითქმის მამაკაცურად ჩამოართვა ხელი.

— სპორტს მივდევ, — აუხსნა მან, როცა იუჯინს გაოცება შეატყო.

იუჯინი კიდევ უფრო შეცბა და მერლინი ჩუმად თავით ფეხამდე შეათვალიერა: მიუხედავად მოჩვენებითი სინაზისა, ქალს სპორტსმენის ღონიერი ტანი ჰქონდა.

— იცით, რას გეძახიან? — უთხრა ქალმა, — პროფესორ ჰილსტოუნის საოცრებას.

— შენი მოსმენა სურს, შვილო, — უთხრა პროფესორმა და მერლინს მიუბრუნდა, — მართლა რომ საოცრებაა!

— მერე თქვენ... ამიტომ მოხვედით, რომ მე მომისმინოთ? — უნდობლად ჰკითხა იუჯინმა.

— რა თქმა უნდა, — დაეთანხმა ქალი, — მხოლოდ ამიტომ.

იუჯინს სახე გაუნათდა.

— შეიძლება? — ჰკითხა პროფესორს, მთლად შთაგონებად და აღმაფრენად ქცეულმა.

— რასაკვირველია, — რბილად უპასუხა პროფესორმა, — მოიტანე ვიოლინო.

— რა სახე აქვს! — წამოიძახა მერლინმა, როცა იუჯინი გავიდა.

— ჰო, — ხმამაღლა ამოიოხრა პროფესორმა. — ეს ბიჭი ყველაფერია ჩემთვის. მე მას ვასწავლი თუ კი რამ ვიცი. თუმცა სასწავლო თითქმის არაფერი სჭირს, — იუჯინი დაინახა და გაჩუმდა.

— სარასატეს კონცერტს დავუკრავ, — სთქვა იუჯინმა.

როცა დაკვრა დაიწყო, ისე, როგორც ყველა ვისაც კი ოდესმე მოუსმენია ეს სრულყოფილი დაკვრა, მერლინიც დაიბნა და განცვიფრდა. არასოდეს არაფერი გაეგონა ამის მსგავსი და ვერც წარმოედგინა, რომ ვიოლინოს, რომელიც მისი საქმროს ხელში ხის ნივთი იყო და მეტი არაფერი, შეეძლო ასეთი ხმების გამოცემა.

იუჯინმა ხემი დაუშვა, მერლინი მაშინვე ვერ გამოერკვა.

— სიტყვები არ მყოფნის, — სთქვა ბოლოს დაბნევით.



— ისეთი ბედნიერი ვარ, — ჩუმად ჩაილაპარაკა იუჯინმა და პროფესორს, რომელიც სევდიანი ღიმილით შესცქეროდა, დამნაშავე სახით შეხედა.

— შეიძლება, მოვიდე ხოლმე? — ჰკითხა მერლინმა და მის ხმას პირველად დაეტყო გაუბედაობა.

იუჯინი წამოენთო.

— შეიძლება, მამა? — თვალებში მუდარა ჰქონდა. პროფესორმა ვერ შესძლო ეთქვა „არა“. მხოლოდ ფრთხილად შენიშნა, რომ კონკურსამდე ცოტა დრო იყო დარჩენილი და იუჯინს ბევრი უნდა ემუშავა.

დამშვიდობებისას იუჯინი ისევ გააკვირვა პატარა ხელის ძალამ. სანამ მანქანა მოსახვევს არ მიეფარა, ფანჯარას არ მოშორებია.

— ასეთი ქალი ჩემს დღეში არ მინახავს, მამა, — სთქვა იუჯინმა ანაზდად.

— ძალიან ლამაზია, — დაეთანხმა პროფესორი, — მაგრამ გარეგნული კი არა, სულიერი სილამაზეა ადამიანისათვის მთავარი, ხომ ასეა, ჩემო ბიჭო?!

— დიახ, რასაკვირველია, — შეცბა იუჯინი,— მაგრამ, მას ხომ ისევე ლამაზი აქვს სული, როგორც სახე... იგი... — ჩაფიქრდა და კარგახნის დუმილის შემდეგ დაბეჯითებით თქვა: — იგი სარასატეს კონცერტს ჰგავს...

კონკურსზე წასვლის დღე ახლოვდებოდა. იუჯინი ბევრს მეცადინეობდა და ძლიერ იღლებოდა. ზოგჯერ მთლად ქანცგალეულს პროფესორი აიძულებდა საათობით ევარჯიშა მარცხენა ხელით. ამაში ჰილსტოუნი ულმობელი და კერპი იყო. ბრუკსი მზრუნველობით ასმევდა ყავას და იუჯინიც, როგორც კი ოდნავ ძალას იგრძნობდა, ისევ ხანგრძლივ ვარჯიშს იწყებდა.

მაგრამ მერლინი გამოჩნდებოდა თუ არა, დაღლილობა მაშინვე ქრებოდა. იუჯინი მზად იყო საათობით, თუ საჭირო იქნებოდა, მთელი ღამე შეუსვენებლად დაეკრა.

ერთხელ, სადამოხანს, სწორედ კონკურსზე წასვლის წინა დღეს, მერლინმა იუჯინს მანქანით გასეირნება შესთავაზა.

— შეიძლება, ბატონო ჩარლზ? — გაუბედავად ჰკითხა ქალმა.

პროფესორმა ყურადღებით შეხედა, მერე მზერა იუჯინის მუდარით სავსე სახეზე გადაიტანა.

— წადით, — სთქვა ბოლოს მან. — მაგრამ, მანქანა არსად გააჩეროთ, პოლისმენი არ მოვიდეს. მიმიხვდით, მერი?!

— დიახ, — ფიცხლად დაეთანხმა მერლინი. — იგი, რა თქმა უნდა, მიუხვდა პროფესორს. იუჯინი ხომ ზანგი იყო, შტატების კანონების მიხედვით, ზანგს უფლება არა აქვს თეთრ ქალთან ჩაჯდეს მანქანაში.

როცა წავიდნენ, აღელვებულმა ბრუკსმა ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო.

— ეს რა ჩაიდინეთ, ბატონო ჩარლზ? როგორ გაუშვით იმ მწითურ კატასთან ერთად?!

პროფესორი შეიჭმუხნა.

— რას ლაპარაკობ, ჯეიკ! ბიჭს უნდა ცალკე დარჩეს მასთან. ნუთუ ვერ ხვდები, რომ ხელს ვუშლით.

— ცალკე, ცალკე, — აბუზღუნდა ბრუკსი. — ერთიც ვნახოთ, რამე შეემთხვას? მოიცათ, ეგ მშვენიერი ოჯახი რამე სიურპრიზს მოგართმევთ!

— სისულელეა, — მოიგერია პროფესორმა. — არაფერიც არ მოუვა. მშვენივრად მიცნობენ, რას გაბედავენ, იციან ღდინში ჩავსდევ. მართლა, — დაუმატა მან, — სწორედ გუშინ ვნახე ორივე გილბერტი, მამა-შვილი. მამამ პირდაპირ მითხრა: ბედნიერი ვარ, ჩემს ნოელზე ღირსეული პრეტენდენტი რომ გამოჩნდა, კონკურსზე ცალკეული პირის კი არა, მთელი შტატების პრესტიჟის დაცვაა საჭიროო.

— გუშინ ჩარლსტოუში, სამხრეთ კაროლინაში; — თქვა მოღრუბლულმა ბრუკსმა, — 150 ზანგი დააპატიმრეს, ვითომდა მოძრაობის წესების დარღვევისათვის. წარმოგიდგენიათ? ასორმოცდაათივე ერთად!

— კი მაგრამ, რა საერთო აქვს ამას გილბერტთან? — დაინტერესდა პროფესორი.

— რა საერთო აქვს, რა საერთო! — გული მოუვიდა ბრუკსს. — ის საერთო აქვს, რომ ინტეგრაციაზე ლაპარაკი ჯერ ცარიელი ყბედობაა და მეტი არაფერი. ერთს ამბობენ, მეორეს კი აკეთებენ. თქვენი გილბერტიც ასე გახლავთ. მართლა გჯერათ, რომ გილბერტებმა არ იციან მერლინის აქ სიარული? თუ გინდ მომკლათ, ვერ დავიჯერებ, ფუჰ! — შემობრუნდა და თავის ოთახისკენ წავიდა.

იუჯინი და მერლინი კი ამ დროს გიჟებივით მიქროდნენ ბოსტონის ქუჩებში და ვერსად ვერ ბედავდნენ შეჩერებას.

მაგრამ მაინც შეჩერდნენ, შეჩერდნენ ქალის სახლთან და ზევით ავიდნენ...

მეორე დილით პროფესორი ჰილსტოუნი ჩვეულებრივზე ადრე ადგა. წასვლის დღეს, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, აუარება საქმე გამოჩნდა. საშინაო ფეხსაცმელში ფეხი წაჰყო, ხალათი მოისხა და კარებში თავი გაჰყო.

— იუჯინ! ჯეიკ! — დაიძახა წამლერებით.

არავინ გამოეპასუხა.

ყური მიუგდო. სახლში სამარისებური სიჩუმე

იდგა. გაკვირვებული, ფეხსაცმელების ტყაპუნით დერეფანში გავიდა. ბრუკსის ოთახი ცარიელი იყო.

— ეშმაკმა დალახვროს!—ჩაიბურტყუნა გაბრაზებით, სამზარეულოში, სააბაზანოში და საკუჭნაოშიც კი შეჰყო თავი. სახლში არავინ იყო; ყველა ნივთი თავის ადგილზე იდო.

მთელი საათი იბორიალა პროფესორმა, ადგილს ვერ პოულობდა, აღარ იცოდა რა ეღონა. ბოლოს სერვანტისაკენ დაიძრა, რომელსაც ნახევარი წელი იყო აღარ მიკარებოდა. კარი, როგორც ყოველთვის, დაკეტილი დახვდა. ის-ის იყო ბრუკსის ხორცის საკეპი ნაჯახით შეიარაღდა — სერვანტის გასატეხად, რომ შემოსასვლელი კარი მიჯახუნდა. მერე ფრატუნა ნაბიჯები მოისმა, ზღურბლზე ჯეკობ ბრუკსი გამოჩნდა.

— რას ნიშნავს ეს? — მრისხანედ დაიწყო პროფესორმა, მაგრამ ცუდმა წინათგრძნობამ სიტყვა გაუწყვიტა. ბრუკსის დაბერილ, გაშავებულ ვენებს, მის აცახცახებულ ტუჩებს მიაშტერდა.

— სადაა იუჯინი? — ჰკითხა ჩავარდნილი ხმით.

ბრუკსს ხელები ჩამოუშვა, მძიმედ ქშინავდა.

— სადაა იუჯინი? — გაიმეორა პროფესორმა და სავარძელში ჩაეშვა. — ცოცხალია?

— კი, კი, — ნაჩქარევად უპასუხა ბრუკსმა.— კი, რა თქმა უნდა, ცოცხალია. — სერვანტთან მივიდა, გასაღებების აცმა ამოათრია, ჭიქაში ვისკი ჩაასხა და პროფესორს მიაწოდა.

— დალიეთ, ბატონო ჩარლზ, — უთხრა წყნარად.

— სთქვი, — მტკიცედ, თვალმოუცილებლად უთხრა პროფესორმა.

— ბატონო ჩარლზ, — მწარედ მოუჭირა ბრუკსმა ხელები ერთმანეთს. — აბა, როგორ გითხრათ?! — აღმოხდა უცებ. მერე წინ წაიწია და ხელი წაავლო. — იუჯინი მაინც წასულა მერლინთან, — განაგრძო სასოწარკვეთილმა, — მთელი ღამე გაუტარებია მასთან. გამთენიისხანს დაბრუნდა. ჰო, გამთენიისხანს დაბრუნდა სახლში, მაგრამ... ბატონო ჩარლზ, ორი თითი უღრძვია მისთვის მერლინის მარცხენა ხელზე...

თანდათან ჩაუქრა ჩარლზ ჰილსტოუნს მზერა.

— ექიმ ემერისთან მივიყვანე, — განაგრძობდა ბრუკსი, — იუჯინი ახლაც იქაა. პოლიციას ვერ ვაცნობე ამის შესახებ. რომ გაეგოთ, სად და როგორ მოხდა... ახლა ხომ მიხვდით, რატომ იყვნენ გილბერტები ასე წყნარად?! — წამოიყვირა მან. — ყველაფერი გაუთვალისწინებიათ, დარწმუნებული ბრძანდებოდნენ, ხმაური არ ატყდებოდა...

— ჯეიკ, — შეაწყვეტინა პროფესორმა,—ახლავე დაურეკე პროფესორ ემერს, უთხარი, რა ფასიც უნდა მოითხოვოს, რა ფასიც უნდა, ოღონდ ბიჭი მორჩეს! გაიგე?

— დიახ, ბატონო ჩარლზ, — ძლივს გასაგონი ხმით გამოსცრა ბრუკსმა, — მაგას დამპირდა ექიმი ემერი, მაგრამ მითხრა: იუჯინი ვეღარასოდეს ვეღარ დაუკრავსო.

# თუშების ნენელი

უკრაინის ერთ პატარა სოფელში დავიბადე. ბავშვობის წლებს სოფლად ვატარებდი და ჩემს თანატოლებთან ერთად ცხვრებს და ძროხებს ვმწყემსავდი. შემდეგ ცოდნის შეძენის სურვილმა მთელი ქვეყანა შემომატარა. ვსწავლობდი: ხარკოვში, მოსკოვში, პეტროგრადში, საფრანგეთში და ბოლოს საექიმო პრაქტიკას ვიღებდი აფრიკის ქვეყნებში: ალჟირში, ნიგერიაში, ლიბიაში და სხვაგან. მერე იქიდან, საფრანგეთისა და გერმანიის გავლით, პეტროგრადში ჩავედი. იქ გავიცანი რკინიგზის ინჟინერი დიმიტრი ქადაგიძე. მისმა უბრალოებამ და ადამიანობამ ისე მომხიბლა, რომ ცოლად გავყევი. მალე მე და ჩემი მეუღლე ციმბირში გავემგზავრეთ სამუშაოდ. მან თავის საინჟინრო საქმეს მოჰკიდა ხელი, მე კი — ექიმობას.

ვმუშაობდით მთელი დატვირთვით. ჩემმა მეუღლემ მთავრობის რამდენიმე ჯილდოც მიიღო. მაგრამ, დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. მან მოიტანა გაჭირვება და შიმშილი. იძულებული გავხდით მიგვეტოვებინა რუსეთი და საქართველოში გამოვემგზავრეთ. ჩვენთან ერთად იყო ლევ ტოლსტოის შვილიშვილის აღმზრდელი ქალი, რომელიც ახლა ალვანის მიწაში განისვენებს.

შემოდგომის სუსხიანი დღეები იდგა, როცა ქალაქ ორჯონიკიძეში (მაშინდელი ვლადიკავკაზი) შევისვენეთ. ვჩქარობდით დროზე გადაგვევლო კავკასიონის მთები. დავიქირავეთ ცხენები, ავიღეთ ჩვენი ბარგი-ბარხანა და თერგის ხეობით საქართველოს სამხედრო გზას დავადექით.

თერგის ხეობა არ მენახა, საერთოდ არ მომესმინა მდინარის ასეთი თავაწყვეტილი, გიჟური ღრიალი. გამახსენდა ბებიას მონაყოლი ზღაპრები გოლიათებზე. ეს ხეობა ნამდვილად გოლიათების სამფლობელოს ჰგავდა. თვალუწვდენელ მწვერვალებზე მარადიული თოვლი ქათქათებდა. მათ თავზე დინჯად მიედინებოდა ლეგა ღრუბლები. ცოტა არ იყოს, შევშინდი. მეუღლემ ეს შენიშნა და ღიმილით მითხრა:

— ნუ გეშინია, ადამიანისთვის უვნებელი არიან მრისხანე თერგიც და მისი ცივი ფრიალოები. ეს ჩემი მშობლიური მთები და მდინარეა, მომყევი!..

ყაზბეგიდან მყინვარწვერი შევათვალიერე, ვინახულეთ ალექსანდრე ყაზბეგის სახლი... მერე თანდათან ხმაურით გაგვცდა მოუსვენარი თერგი. ჯვრის უღელტეხილზე სიჩუმე და თოვლი მეფობდა.

— აი, ეს არის იმ გიჟი თერგის სათავე, — მიმითითა დიმიტრიმ პატარა ნაკადულზე. — აჰა, დალიე თერგის წყალი, შენც თერგდალეული იქნები, — მან დოქით წყალი მომაწოდა.

დიმიტრი თავის კუთხის ყველა კუნჭულს მაცნობდა. შეუმჩნევლად ჩამოვათავეთ არაგვის ხეობა. ვნახეთ ნუგზარ ერისთავის საფეოდალო, ანანური, მცხეთა... გზიდან დავინახეთ ილია ჭავჭავაძის კარ-მიდამო საგურამოში, მერე თბილისი, თელავი და ალვანი...

რა იყო მაშინ ალვანში? — პატარა ფიცრული სახლები, ღარიბი ხალხი, ირგვლივ გაჭირვება. სოფელში მხოლოდ მოხუცი კაცები და რძალ-დედამთილები დაგვხვდნენ. 14-15 წლის ბიჭებიც არსად ჩანდნენ.

— სად არიან მამაკაცები ან მოზრდილი ბიჭები? — შევეკითხე ჩემს მეუღლეს.

— უფროსი თაობა ომშია, ახალგაზრდობა კი — საზამთრო საძოვრებზე, ცხვარში.

დავბინავდით ჩემი მეუღლის პატარა ფიცრულ სახლში. დიმიტრის ნათესავები და თანასოფლელები უკმაყოფილო იყვნენ ჩემით. მე მათი ენა არ ვიცოდი, მათ კიდევ ჩემი. მაშინ ალვანში ექიმი არ იყო და არც მანამდე ყოფილა. აფთიაქზე ფიქრიც ზედმეტი იყო.

მსოფლიო ომმა ხალხი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. მომთაბარე ცხოვრების ცუდმა პირობებმა და ომიდან დაჭრილთა დაბრუნებამ აუარებელი დაავადება და ავადმყოფობა გამოიწვია ალვანში. მე მათ, როგორც ექიმი, მხსნელად მოვევლინე. მალე ვისწავლე ქართულთან არეული თუშური კილო.

— რძალო ნადექძა, დაო ნადექძა, მოგვეხმარე, ავადმყოფობამ დაგვრია ხელი, — მოდიოდნენ ჩემთან სხვადასხვა სოფლებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მივდიოდი ყველასთან. არ მაშინებდა შემოდგომის ბნელი ღამე, არც ზამთრის სუსხიანი დღეები, არც უგზოობა. ყველა ღარიბსა და გაჭირვებულს უფასოდ ვაძლევდი წამლებს, რომლებიც ჩემს მეუღლეს თბილისიდან ჩამოჰქონდა. ბევრჯერ ჩავდექი სიკვდილსა და სიცოცხლეს შუა. განსაკუთრებით უჭირდათ მშობიარე ქალებს. გაჭირვებამ ეს ხელობაც მასწავლა.

ჰკვიან ხალხში მოვხვდი. მათ გამიგეს და ისწავლეს ჩემგან: პირადი ჰიგიენა, ბინის, საჭმლის და ტანსაცმლის სისუფთავე, ბავშვების და ავადმყოფების სწორი მოვლა. მალე მათთვის საყვარელი რძალი და ექიმი შევიქენი. ჩემი საექიმო ობიექტი ყოველდღე იზრდებოდა: ზემოალვანი, ქვემოალვანი, არგოხი, მაღრაანი, ლალისყური, პანკისის ხეობა და სხვა. შეკაზმავდა ჩემი მეუღლე ცხენებს და ერთად მივდიოდით ავადმყოფთან...

ისევ ქრის ზამთრის ქარი, უხმაუროდ მიედინება ალაზანი, კვლავ მდუმარედ დგანან სამების, ცხრაკარის და ალავერდის ტაძრები. ორმოცჯერ არეკეს და ჩამორეკეს მწყემსებმა ზამთრის საძოვრებზე ცხვარი. გამოიცვალა დრო, გამოიცვალა ხალხის ცხოვრება. ახლა ალვანი ის აღარაა, რაც წინათ იყო. ხალხმა ააშენა ორ და სამსართულიანი ქვის ლამაზი სახლები. ჩემს საექიმო უბანში ახლა თხუთმეტი ექიმი და ოცამდე ექთანია. მუშაობს ორი დიდი აფთიაქი. არ იყო სკოლა, ახლა ორი საშუალო სკოლაა, სადაც სამოცდაათი ადგილობრივი მასწავლებელი მუშაობს და საშუალო განათლებას იღებს ორიათასამდე ბავშვი.

მე ვცხოვრობ ზემოალვანში, იმ ბინაში, რომელიც მე და დიმიტრიმ სიყვარულით ავაშენეთ. ჩემი მეუღლე კარგა ხანია გარდაიცვალა. მან დამიტოვა სამი შვილი და ათამდე შვილიშვილი. წლებმა მეც დაღი დამასვა, მაგრამ ჯერ ისე არ გამტეხა, რომ სოფელში არ შემეძლოს გავლა, არ შევხვდე იმ ადამიანებს, რომლებიც ჩემი მადლიერი არიან.

ხშირად მახსენდება უკრაინა, ნათესავები. მინდა მათი ნახვა, ჩემი ბავშვობის ადგილების მონახულება, მაგრამ შევძლებ კია...

ასე დაასრულა თავისი თავგადასავალი საქართველოს სსრ დამსახურებულმა ექიმმა, თელავის რაიონის სოფელ ზემოალვანის მცხოვრებმა, ოთხმოცი წლის პენსიონერმა ნადეჟდა ვასილის ასულმა ნისკურბინა-ქადაგიძემ.

ნადეჟდა ქადაგიძემ უმაღლესი სამედიცინო განათლება საფრანგეთში მიიღო. ის მკურნალობდა ლევ ტოლსტოის შვილს. მისი მკურნალობის დროს გაიცნო მისი შვილების აღმზრდელი ულიანა ზარბუხინა, რომელიც თან ჩამოიყვანა ალვანში...

თუშები „ნანალოს“ ეძახიან ნადეჟდას. ეს დედილოს ნიშნავს თუშურად. და მართლაც დიდსა თუ პატარას დედასავით უყვარს დიდი ადამიანური გულის პატრონი ეს ცისფერთვალება მოხუცი ქალი.

**გიორგი პაპალაშვილი**

# სიყვარულმა მათქმევინა

## ...და ისევ გიხმობ

ვარვარებს ზეცის ვეება თალი,
მზე მიაბიჯებს სივრცის ხავერდზე...
აგვისტოს სიცხით,
აგვისტოს ალხით
დღე იწვის, მაგრამ ჩრდილს არ დაეძებს.
დღესავით ვიწვი მაგ თვალთა მზისგან,
და ისევ გიხმობ
და ისევ გნატრობ,
კვლავ შენში ვხედავ ჩემს მაღალ მიზანს
და უშენოდაც არა ვარ მარტო.

**მაყვალა თამაზაშვილი,**
მკერავი.

* * *

ზღვა მეცილება შენს ალერსში,
ჩემო კოლხეთო,
მზე მეცილება შენს ალერსში,
უშბა და შხელდა...
მე მიხარია
შენს უძირო ცაში ახედვა
და მინდა მარად
შენი სითბო
ჩემს ხმაში ჟღერდეს...

**იმერი ხარაძე**
სტუდენტი.

## შემოდგომა ბოტანიკურ ბაღში

შემოდგომის შვილს,
ყვითელთმიან ლამაზ ქალიშვილს
შეურბენია ბოტანიკურ ბაღის ხეებში.
დაძრწის, აირჩევს მწვანე ქოჩრიანს...
ყველა ხემ იცის მისი მცდარი გულის ბუნება,
ყველა ხელსა ჰკრავს,
ის კი მაინც მათ უბრუნდება.
შემოდგომის შვილს,
ყვითელთმიან ლამაზ ქალიშვილს
რა ენაღვლება?

**ლამარა სააკაძე,**
მუშა.

* * *

თავისებურად ყვავილობს ნაძვი,
წიწვს შემოევლო ქობა ყვითელი,
გაივლის ხანი და გაზაფხულზე
მწიფე კვირტიდან იფეთქებს მტვერი.
ოდნავ შეხებით მთელ ღრუბელს აშლის,
სახეს მომწვანო მტვერით შებურავს.
თუმც მდუმარეა და მეტად მკაცრი,
მაინც ყვავილობს თავისებურად.

**ქეთევან გოგუა,**
დიასახლისი.

# ნანა ალექსანდრია

ჩვენს საუკუნეში ჭადრაკის განვითარებას თუ დავაკვირდებით, არ შეიძლება მხედველობიდან გამოგვრჩეს ერთი მეტად საინტერესო მომენტი: ეს უძველესი თამაში შესამჩნევად „გაახალგაზრდავდა“. თავი რომ დავანებოთ ახალგაზრდა ნიჭიერ დიდოსტატთა მთელი თაობის დაწინაურებას, მარტო ეს ფაქტი რად ღირს — მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვეს 21 წლის ნონა გაფრინდაშვილმა და 24 წლის მიხეილ ტალმა. მაგრამ ჭადრაკის „გაახალგაზრდავებას“ თავისთავად ნაკლები მნიშვნელობა ექნებოდა, იგი რომ მეტად საინტერესო მოვლენასთან არ იყოს დაკავშირებული — თამაში უფრო მძაფრი, შინაარსიანი გახდა. ეს კი მოჭადრაკეთა ახალი თაობის უდავო დამსახურებაა.

როდესაც ქართველ მოჭადრაკე ქალთა ახალი თაობის აღიარებული ლიდერი ნონა გაფრინდაშვილი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ცნობილი მწვრთნელი ვახტანგ ქარსელაძე ასაფრენად ახალ „მართვეს“ ამზადებდა. მისმა მოწაფემ ნანა ალექსანდრიამ ნონას მიბაძა — ჯერ თანატოლებს აჯობა, შემდეგ უფროსებს გაეჯიბრა. გოგონას მეტად უყვარდა თამაში. იგი მზად იყო მთელი დღეები ჭადრაკთან გაეტარებინა. მაგრამ გარკვეულ დრომდე გამოცდილი მწვრთნელი ძირითად დროს თამაშს კი არა, საჭადრაკო თეორიის შესწავლას ანდომებდა. 1963 წელს, როდესაც ნანამ საქართველოს ჩემპიონატში ქალთა შორის მესამე ადგილი დაიკავა და საკავშირო პირველობის ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა (ეს არნახული მიღწევა იყო), ვ. ქარსელაძემ თავის მოწაფეს ნება არ დართო ჩაბმულიყო ამ ახალ, მომქანცველ ასპარეზობაში. „მაგის დროც დადგებაო“, — უთხრა მან გოგონას და ასეც მოხდა.

რა თვისებებით მიიქცია ნანა ალექსანდრიამ საყოველთაო ყურადღება? უპირველეს ყოვლისა, თავისი გასაოცარი საჭადრაკო მეხსიერებით. გოგონას ზეპირად ახსოვს არა მარტო მის მიერ ნათამაშევი პარტიები, არამედ გამოჩენილ მოჭადრაკეთა შეხვედრებიც, რომლებიც მას ოდესმე გაურჩევია. ეს კი ნანას დიდ სამსახურს უწევს თამაშისას. საერთოდ, სათანადო საჭადრაკო მეხსიერების გარეშე ძნელია რაიმე თვალსაჩინო წარმატების მიღწევა; ქალთა შორის ამ მხრივ სამაგალითოდ ნონა გაფრინდაშვილი ითვლება, ვაჟთა შორის კი ალიოხინი და ტალი.

ნანა ალექსანდრიას ვახტანგ ქარსელაძე რამდენიმე წლის მანძილზე საგანგებოდ ამეცადინებდა. ნანას, უპირველეს ყოვლისა, შეტევა და მეტოქეთა დაშამათება იზიდავდა, მაგრამ მწვრთნელი სათანადო ყურადღებას აქცევდა დაცვასაც. „სხვებს ქვებს ნუ უშენ, თუ თვით შუშისაგან აგებულ სახლში ცხოვრობო“, — ამბობს ინგლისური ანდაზა. ნანაც ხშირად ეთამაშებოდა ამხანაგურ პარტიებს ვ. ქარსელაძის მოწაფე ვაჟებს, საკმაოდ გამოცდილ ოსტატობის კანდიდატებს. ვაჟები თვით იყვნენ შეტევის მოყვარულნი და ნანაც თანდათან დაცვას შეაჩვიეს. მათი პრაქტიკული გაკვეთილები შემდეგში ნანა ალექსანდრიას ძლიერ გამოადგა.

და აი, ერთ მშვენიერ დღეს ნანა და მისი მასწავლებელი შეთანხმდნენ, რომ დადგა „შეტევაზე გადასვლის“ დრო. ნორჩი მოჭადრაკე ჯერ გოგონათა საკავშირო ზონალურ ასპარეზობაში ჩაება, რომელიც თბილისში გაიმართა 1964 წლის იანვარში. 7 შესაძლებლიდან 7 ქულა! შემდეგი შეჯიბრება საქართველოს ჩემპიონატი იყო ქალთა შორის. აქ ნანამ I—II ადგილები გაიყო გამოცდილ საერთაშორისო ოსტატ ალა ჩაიკოვსკაიასთან. ამ წარმატებისათვის ორივეს მიენიჭა საქართველოს ჩემპიონობა. 14 წლის გოგონამ მოიპოვა საკავშირო ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება. ესეც ახალი რეკორდი იყო.

შარშან მაისში ნანა ალექსანდრიამ მონაწილეობა მიიღო სოხუმის საერთაშორისო ტურნირში. იქ, საბოლოო ანგარიშით, მან უკან ჩამოიტოვა ისეთი გამოცდილი ოსტატები, როგორნიც ბულგარეთის მრავალგზის ჩემპიონი ვენკა ასენოვა და მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ელისაბედ ბიკოვა არიან. შეჯიბრების მსვლელობის დროს არა ერთხელ მქონდა საშუალება მომესმინა გამოჩენილ საზღვარგარეთელ მოჭადრაკეთა აზრი ნანას შესახებ.

„იგი მეორე ნონაა“, — თქვა იუგოსლავიის მრავალგზის ჩემპიონმა ნედელკოვიჩმა. „საოცრად ნიჭიერი გოგონაა, — განაცხადა საერთაშორისო ოსტატმა ედიტ კელერ-გერმანმა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), — თავი რომ დავანებოთ საჭადრაკო ნიჭს, განა შეიძლება არ მოგხიბლოს მისმა კულტურამ და კეთილშობილებამ. როდის მოასწრო ასე კარგად ინგლისური ენის შესწავლა!“

თბილისელებს კარგად ახსოვთ ის დიდი საჭადრაკო „ციებ-ცხელება“, რომელმაც გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში მოიცვა ჩვენი დედაქალაქი. რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში მთელი თვის განმავლობაში გრძელდებოდა დიდი საჭადრაკო „სპექტაკლი“, რომლის მთავარი მოქმედი პირი ნონა გაფრინდაშვილი იყო. მსოფლიოს ჩემპიონი საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც რომ გახდებოდა, ამაში ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ მრავალრიცხოვან მაყურებლებს ძლიერ აინტერესებდათ ისიც, როგორ გაართმევდა თავს არნახულ სიძნელეებს ნანა ალექსანდრია. თბილისში ხომ საბჭოთა კავშირის (და მსოფლიოს) უძლიერესმა მოჭადრაკეებმა მოიყარეს თავი! 10 შესაძლებლიდან 8 ქულა! — ასეთი იყო შეჯიბრების პირველი ნახევრის ჭეშმარიტად გასაოცარი შედეგი. რა თქმა უნდა, გოგონა ძლიერ მოჰქანცა ასეთმა ხანგრძლივმა და შეუპოვარმა ბრძოლამ. შეჯიბრების მეორე ნახევარში იმატა შეცდომებმა, მაგრამ საბოლოო შედეგი — VI-VII ადგილების გაყოფა — მაინც საუცხოო მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ 15 წლის მოსწავლეს მიენიჭა სპეციალური ჯილდო დაბოლოებათა საუცხოო გათამაშებისათვის. ტრადიციულად ეს ჯილდო ყველაზე უფრო გამოცდილი, ხანდაზმული მოჭადრაკეების ხვედრია ხოლმე.

კიდევ ბევრი მუშაობა დასჭირდებათ ნანა ალექსანდრიასა და მის მწვრთნელს ვახტანგ ქარსელაძეს: მრავალი სადებიუტო ვარიანტის ანალიზი და სრულყოფა, ოსტატობის დახვეწა დაბოლოებებში, საკუთარი პარტიების გარჩევა და შეცდომების გახსენება. კიდევ ბევრჯერ მოუხდება ნანას ვაჟებთან საწვრთნელი პარტიების ჩატარება, მათი შეუპოვარი წინააღმდეგობის გატეხვა, შეტევების მოგერიება. ზოგჯერ ჭადრაკს მაგიდის ჩოგბურთი შეცვლის, რომელშიც ნანა ღირსეულ პარტნიორობას უწევს ნონა გაფრინდაშვილს. ნანას კიდევ აქვს სხვა გატაცებებიც: მუსიკა, წიგნები, ინგლისური ენა. თბილისის 61-ე საშუალო სკოლა ამაყობს თავისი სახელოვანი მოსწავლით.

ის ის იყო, ქალთა საკავშირო ჩემპიონატი დამთავრდა, რომ ამ საინტერესო ასპარეზობისადმი მიძღვნილმა სურათების გამოფენამ, რომელიც საქდესმა მოაწყო, მოსკოვში გადაინაცვლა. სასტუმრო „მოსკოვთან“ გულშემატკივრები არ სცილდებოდნენ სურათებს, მიუთითებდნენ ნანა ალექსანდრიაზე და მხოლოდ ერთ სიტყვას წარმოსთქვამდნენ „ყოჩაღ!“

გივი გამრეკელი



# ბებერი ვაზი

ესკიზი

გამეჩხერებულ ნავენახარში მაყვლის ბუჩქი და ეკალბარდი მომრავლებულიყო. კოჭლ გრაკალსა და კაწრია კუნელს ბილიკი დაეფარათ. ქვეშ კი, ღრატის ორივე ნაპირზე, მინდვრის შვიტას და ბაბუაწვერას გაებათ მხარი. ბირკა და ნარი, ძურწა და ძაღლვმაგარი კლანჭა ისე მოდებულიყო, ადამიანი ვერ გაივლიდა.

არემარეს არაფერი ეტყობოდა, თუ აქ ოდესმე ქარვისფერი მტევნით დატვირთულ თალარის ძირას ხარობდა კაცი, იყო ლხინი, ჟრიამული და ერთი ყიჟინა...

დროჟამს წარეხოცა ვაზიცა და სხვა ხეხილებიც. გავერანებულ ადგილას მხოლოდ ერთი ბებერი ვაზი-ღა ჩანდა. ისიც ტოტებდალეწილი, გუდურასავით იდგა და ჩახვეოდა ხმელ, აკაფულ ვაშლის ძირს. დედისეულ კუნძებზე ტანი აეყარა ზოგიერთ ხეხილს. აშოლტილიყვნენ, ტოტები ერთმანეთში ჩაეხლართათ და ისე იცავდნენ ბებერი დედის ძვლებს ქარისა და ავდრისაგან.

ბებერი ვაზი მეტი პატივით სარგებლობდა ირგვლივ მყოფთა შორის. მწუხრი თუ განთიადი მას უნდა ეხარებინა ყრმათათვის, დილამშვიდობისა ესურვა მათთვის და ძილინებისა.

დღეს კი ენად გაიკრიფა რატომღაც. გულდათუთქული, ცრემლმორეული, გულაჩუყებული თავის ახალგაზრდობაზე ჰყვებოდა. ისინიც გულისყურით უსმენდნენ და თანაგრძნობის ნიშნად თავს უკანტურებდნენ. მათ შორის უფრო გულჩვილი ცრემლს ვერ იკავებდა და გაფითრებული ფოთლებით იმშრალებდა, წამდაუწუმ ტოტებს შეარხევდა, ერთმანეთს დაუტყლაშუნებდა და ჩაილაპარაკებდა: — ვაი, ჩვენს დღეს. რა მოგველის, ვინ იცის? ბებერი ვაზი კი თხრობას განაგრძობდა:

— არ მახსოვს, როდის მომიყვანეს აქ. სულ ერთი ციცქნა ვიყავი. მიწაზე არც კი ვჩანდი... მაშინ, აი, რასაც კი ხედავთ ამ ცარიელ მინდვრებს, ამ მიდამოზე სულ ვაზი იყო გაშენებული. ყველანი ერთად მოგვიყვანეს თითქმის. ზვრები ძალობდა. მოსავალიც დიდი იყო. ზადი არ უნახავს პატრონს და ჩვენი ქება-დიდებაც ინდიტრამდე იყო გასული. მე მათ შორის უპირატესობა იმით მქონდა, რომ არასოდეს მსხლავდნენ. ჩემი მძლავრი ლერწებით აქეთ ვეება კაკლის ტოტები მყავდა ჩახუტებული და იქეთ მსხლისა. ასე ჩაგრეხილ-ჩახვეულები, უდარდელად ვატარებდით წლებსა; სიამტკბილობით ვცხოვრობდით. ჩემი ლერწები საითაც მოისურვებდნენ, იქეთ ნებივრობდნენ. ვინ რას მკადრებდა უამრავი შვილის დედას? ან რა გვქონდა გასაყოფი... ეს ქვეყანა ყველას გვყოფნიდა, ყველას გვიტევდა.

ჩემი პატრონი გენახათ, რა სიხარულში იყო... ლადოს ეძახდნენ. ვაჟკაცი კაცი იყო. კარგად იცოდა ჩვენი ხასიათი და მოვლაპატრონობა. პირველ წელიწადს რომ შვილები შემეძინა, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. როგორ მეფერებოდა! სეზონზე რამდენჯერმე მასხურებდა შაბიამანის წყალს. მიკურნავდა ფოთოლსაც, ტანსაც, ჩემმა ბავშვებმაც არ იცოდნენ, ავადმყოფობა რა იყო....

როცა შვილები მომიმრავლდა, პატივი უფრო მომემატა. აბა, გენახათ, რა ლხინი იმართებოდა ჩემი კალთის ქვეშ.

შემოდგომაზე ლადო მოვიდოდა მთელი ჯალაბითა და ნათესაობით, მოიყვანდნენ თხას ან ცხვარსა, წამოაქცევდნენ და დაკლავდნენ. პირველი სადღეგრძელო მე მეკუთვნოდა. ლოცავდნენ ჩემს შვილებსა და უფრო გამრავლებას მისურვებდნენ. რა ჟივილ-ხივილი, რა ოხუნჯობა, რა მრავალჟამიერი, რა კალათების ხროვა და ქოთქოთი...

მერე, რა ღვინოს ამზადებდა ლადო! წყლიან ხელსაც არ შეახებდა ჩასაწურად ჩაყრილ მტევანსა. შარბათი იყო, ღვინო კი არა, ადამიანის განმკურნავი ექიმ-წამალი. ასეთი მწიდნავი იყო ლადო, დაელოცოს მარჯვენა!

ასე მიდიოდნენ წლები... მისი გოგო-ბიჭებიც მოიზარდნენ და დავაჟკაცდნენ. კარგა ხანია აღარ მენახა არც ერთი მათგანი, მახსოვს, ერთხელ როგორ შესჩიოდა ლადო მეზობლებს: შვილები ქალაქად გაიკრიფნენ, აღარცერთს ვაგონდებიო.

დაბერდა ლადოც, მოიხარა წელში. სიმღერით რომ იცოდა ხოლმე სიარული და მუშაობა, ის დრო გაქრა, წავიდა... იკლო ყურადღებამ, პატივმა, აღარც შაბიამნის ქვევრი მინახავს წამლით პირთამდე ავსილი, მთელი ცა რომ იხედებოდა შიგ. წინათ რომ ჩემი კალთის ქვეშ მარწყვის ჯიშებს აშენებდა, ისიც თანდათან მოისპო და გავერანდა. ძურწამ იმატა. ეკალ-ბარდმა და უჯიშო შამბმა მოიმაგრა მუხლი. ადამიანს გავლაც

ეროვნული ბიბლიოთეკა



უჭირს. საწყალი ლადო იშვიათად მოვიდოდა, მიჭრი-მოჭრიდა ხმელ ხეხილს და წავიდოდა. ვენახი უფრო მეტ ხელს იყო მიჩვეული და ჩქარა გადაშენდა უყურადღებოდ. თანდათან იკლო ჩემმა შვილიანობამაც. მე კი მიდგას ძაღლის სული, არცა ვკვდები და არცა ვრჩები. ხან ორი შვილი მეყოლება, ხან ისიც არა. მეტის თავი აღარა მაქვს...

შემჭამა ფეხქვეშ მოდებულმა შამბმა და ჰირმა. დახევხუვდა აქაურობაც. წინათ გნოლი და მწყერი ბინადრობდა ღობე-ჩირგვებში. ღამღამობით კურდღელმა იცოდა ცელქობა ბოსტან-ბაღებში. ახლა ისინიც გადაშენდნენ, სადღაც გასახლდნენ.

იმ დღეს ვეება გველი გამოსულიყო წიწილებით და თბებოდა არხეინად. რაღა შეუშლიდა ხელს? ვისი-ღა მოერიდებოდა?.. ადამიანი აღარ ეგულებოდა.

...შარშან შემოდგომაზე ლადო მოვიდა. რაღაცეები მიკუწ-მოკუწა. ბოლოს მეც მომიახლოვდა, ცული მომიღერა, ალბათ, ცეცხლისათვის ვჭირდებოდი. ნეტავ გენახათ, როგორ ვტიროდი. შიშისაგან სული მძვრებოდა. პირჯვარს ვიწერდი და ვბუტბუტებდი: ღმერთო, მიხსენი სიკვდილისაგან. დავბერდი, მაგრამ რა ვქნა, სიცოცხლე მაინც არ მეთმობა.

მიყურა დიდხანს წელში მოხრილმა, დაბერებულმა. გაიხსენა ჩვენი ახალგაზრდობა, ჩემი შვილები. ცული იქვე მიაგდო, ცრემლი მოიწმინდა დამჭკნარი ღაწვებიდან. ერთი პაპიროსი გადაგრიხა, გააბოლა და შეშის გუდურამოკიდებული გზას გაუდგა. წასვლისას ერთი წაილუღლუღა: ამაგდარი დედა ხარ, ხელს ვერ შეგახებო.

მას შემდეგ აღარც მინახავს ჩემი კარგი პატრონი... გუშინ კი ვიღაც კაცები მოვიდნენ. მოიარეს აქაურობა. შეათვალიერეს სიგრძე-სიგანე მიწებისა. მეც დიდხანს მიყურეს, ნამგლით მომაცილეს ამოდენა ჰირვარამი, ფეხქვეშ რომ მეხლართებოდა. ესენი მგონი ლადოს შვილები იყვნენ. ძლივსღა შევიცან. ფეხშიშვლები დარბოდნენ, როცა წინათ ბაღლები ჩამოდიოდნენ. ახლა იგონებდნენ ჩემს ჯეელობას. ყური მოვკარ მათ საუბარს: მგონი ხელახლა აპირებენ მამისეულ მიწაზე ზვრების გაშენებას. გამეხარდა! აბა, მნახეთ როგორ ავიწიო წელში ბებერმა. ჩემს ახალ პატრონს გავახარებ ახალშობილებით. თუმცა ვალმოხდილი დედა ვარ, მაგრამ ისე ჯდომას რას გამოვრჩები! ისეთ შვილებს დავზრდი გაისად, რომ მტერს თვალები დავთხარო.

...აგერ უკვე მწუხრიც შემოგვეპარა. ღამე მშვიდობისა, მეგობრებო, ღამე მშვიდობისა. ვნახოთ, ახალი პატრონები რა ბედსა გვწევენ!

— ღამე მშვიდობისა, დედა ბატონო, ღმერთმა მშვიდობა ნუ მოგიშალოთ!...

**დოდო ზურაბიშვილი**

# ყურცქვიტას ამბავი



ნაცარას ერთადერთი შვილი ჰყავდა, ყურცქვიტა. დედა გახარებული იყო, ყურცქვიტამ ძუძუს წოვა მალე რომ მიატოვა და კომბოსტოს ფოთლებს თამამად ახრამუნებდა. „რა ვაჟკაცი მეზრდება, ახლა რომ ამას ჩადის, როცა გაიზრდება, სიმინდის ხმელ ღეროსაც შეახრამუნებს, ბუჩქებს ფესვებამდე დაღრღნის", — გაიძახოდა გახარებული და შვილს მზრუნველობას არ აკლებდა, მოჰქონდა და მოჰქონდა ყოველდღე მისთვის ხურჯინით საჭმელი. ყურცქვიტა იჯდა უზრუნველად კუთხეში და პირს არ აჩერებდა. მაგრამ რომ გამოძღებოდა, იქვე რბილ საწოლში გაიშოტებოდა და ხვრინვას ამოუშვებდა. დედა მაშინვე მიირბენდა მასთან — მძინარეს ნიავმა არ დაჰკრასო, საბანს გადააფარებდა.

გავიდა თითქმის ერთი წელი და ყურცქვიტა წამოიზარდა. ტანად დედაზე უფრო დიდი იყო, ძალღონეც დედაზე მეტი ჰქონდა, ოღონდ ზარმაცი იყო და საკვების შოვნისათვის თავს არ იწუხებდა; იჯდა უსაქმოდ და დედას თათებში შეჰყურებდა. თუ მოიტანდა დედა რამეს, შეჭამდა, არა და წამოწვებოდა კუთხეში და მშვიდად ეძინა.

მოვიდა ზამთარი, დაუბერა ცივმა ქარმა და არე-მარე თეთრად გადასუდრა. სადღა იყო კომბოსტოს ფოთლები ან სტაფილო! ყველაფერი თოვლს დაეფარა. ახლა საკვების პოვნა არც ისე ადვილი იყო, ყურცქვიტა კი თბილ საწოლში იწვა უზრუნველად და აზრადაც არ მოსდიოდა საზრდოზე ეზრუნა.

მეტი რა გზა იყო, ადგა ნაცარა (წინასწარ იცოდა, ყურცქვიტა თოვლში კი არა კარგ ამინდშიაც არ გაადგამდა გარეთ ფეხს), წამოიკიდა ხურჯინი და ტყისაკენ გზას გაუდგა.

თითქმის მთელი დღე იარა თოვლში, გაეყინა ფეხები, გაულურჯდა ცხვირი, აუტყდა ციებიანივით ცახცახი და ხრინწიანი ხველება, მაგრამ საზრდოს პოვნის იმედს მაინც არ კარგავდა და ტყის არც ერთი კუნჭული შეუთვალიერებელი არ დაუტოვებია.

ბოლოს, როგორც იქნა, ერთგან ეკლნარებს მიაგნო. ეკლნარებს გარშემო ბარდი შემოხვეოდა, ზამთარ-ზაფხულ მწვანე ფოთლებიანი. ნაცარა მაშინვე შეუდგა ფოთლების კრეფას, აავსო ხურჯინი თავამდე და წამოიკიდა ზურგზე. შინისკენ რომ მიდიოდა, გზაში ერთგან წყლიან ორმოს წააწყდა, ორმო თოვლს დაეფარა; ნაცარამ ეს ვერ შენიშნა და შიგ ტყაპანი მოადინა. ზემოთ რომ ამოფორთხდა, თავიან-ფეხებიანად სველი იყო.

შინ რომ მივიდა, ხურჯინი ყურცქვიტას ცხვირწინ დაუდო და თვითონ იქვე კუთხეში მიეგდო. დაღამდა, გათენდა, ნაცარა ისევ წევს, სიცხისაგან გათანგულს, წამოდგომა აღარ შეუძლია. ისედაც გადმოკაკლული თვალები, კიდევ უფრო გადმოკუსვია, თავბრუ ეხვევა, ოფლში იღვრება, გულშეწუხებული ოხრავს და კვნესის.

ყურცქვიტა დედას უზის და გაოცებული შეჰყურებს. ხურჯინი კარგახანია დაცარიელდა, შიმშილით კუჭი ეწვება და რა იღონოს, აღარ იცის. ბოლოს ძალიან რომ შეაწუხა შიმშილმა, იკადრა, ხურჯინს თათი წამოავლო და ტყისაკენ გაემართა. ტყეში თვითონაც მიაგნო ეკლნარს. აავსო ხურჯინი და შინ დაბრუნდა, საჭმელი დედასაც უწილადა და თვითონაც გამოივსო კუჭი. ხურჯინი რომ დაცარიელდა, ყურცქვიტა ისევ გაეშურა ტყისაკენ და შინ კვლავ დატვირთული დაბრუნდა.

გავიდა რამდენიმე დღე, ნაცარას ავადმყოფობამ გაუარა. ახლა თავს კარგად გრძნობდა, ოღონდ საზრდოსათვის ძველებურად ტყეში სიარული აღარ უხდებოდა, სურსათ-სანოვაგე სულ ყურცქვიტას მოჰქონდა.

აკაკი ართილაყვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**1964 წელს ჩვენი რესპუბლიკის მეაბრეშუმეებმა გეგმით გათვალისწინებული 41.000 ცენტნერის ნაცვლად 48.090 ცენტნერი აბრეშუმის პარკი ჩააბარეს სახელმწიფოს.**
**წელს უფრო მაღალი მაჩვენებლების მისაღწევად იბრძვიან ისინი.**

# ცახებზე იხვევა პარკი

ვინ იცის, რამდენი იფიქრა, სანამ ერისტო ლიპარტიანის სახლის ზღურბლზე პირველად გადააბიჯებდა ფეხს. ძნელია 18 წლის ქალიშვილმა იტვირთო სხვისი შვილის დედობა. მაინც საშველი არ მისცეს შუამავლებმა. თვითონაც არ იყო გულგრილად. დედამაც ურჩია:

— გაჰყევი, შვილო, დასაწუნი ვაჟკაცი არ არის, ოჯახიც სავსე ჰქონია.

ოჯახი მართლაც კარგი ჰქონდა ერისტოს: სამი თვალი ოდა-სახლი, სახლს უკან სამზარეულო, საბძელი, ბოსელი, ორი მეწველი ძროხა, დიდი ეზო, ეზოში ცოცხალი ღობით შემორაგული ბოსტანი. დიასახლისის ხელი რომ აკლდა, ნათლად ეტყობოდა ყველაფერს. „თუ ხელს გავანძრევთ, ვიცხოვრებთო", — გაიფიქრა მატრონემ.

— ცხოვრება არ გაგვიჭირდება, თუ ქალობას გამოიჩენ და ბიჭს არ დამიჩაგრავ, — თითქოს მის ფიქრებს გაეპასუხა ერისტო. ქალი შეკრთა, გული ეტკინა, ნეტავ, რა შემამჩნია ასეთიო! ბიჭი მოიკითხა. პატარა აქსენტი ტოტებდაკვანძულ ბჟოლას ამოფარებოდა და ფართოდგახელილი თვალებით მისჩერებოდა უცხო ქალს. მატრონე ფრთხილი ნაბიჯით მივიდა ბიჭთან, მიუალერსა.

— მე შენი დედა ვარ, — უთხრა ტკბილად და ამ თქმაში იმდენი სითბო ჩააქსოვა, აქსენტის თვალებში წუთით სიხარულმა იელვა. სიხარული ისევ ეჭვმა შესცვალა:

— მერე ამდენხანს სად იყავი? — უთხრა და გაიქცა.

სულ რამდენიმე კვირა დასჭირდა ქალს, რომ პატარას გული მოეგო. მერე მატრონეს ხუთი შვილი გაუჩნდა, მაგრამ აქსენტი არასოდეს გამოურჩევია საკუთარ შვილებში. არც და-ძმებს უგრძვნიათ, რომ აქსენტი სხვა დედის შვილი იყო. ქალობას უქებდნენ მატრონეს. იგი ოჯახის საქმესაც უძღვებოდა და ყოველ გაზაფხულზე ქათქათა პირსახოცში სათუთად გახვეული 10-15 გრამი აბრეშუმის მური მიჰყავდა სახლში. აბრეშუმის პარკის ჩაბარებას ვერავინ ასწრებდა სოფელში და მისი პარკი ყოველთვის პირველი ხარისხის იყო.

თანდათან გაითქვა სახელი მატრონემ. ახლა წყალტუბოს რაიონში ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, ყველა გეტყვით: „მოწინავე მეაბრეშუმე ბევრი



გვყავს, მაგრამ სოფელ გვიშტიბში მცხოვრებ მატრონე ლიპარტიანს ვერავინ შეედრებაო".

აი რა გვიამბო მატრონემ თავისი გამოცდილების შესახებ:

დადგება თუ არა მაისი, ბინას წინასწარ მოვამზადებ, კედელზე თერმომეტრს ჩამოვკიდებ, ღუმელს დავდგამ, ყველა კუთხე-კუნჭულს დავაკრიალებ, რადგან ისე არავის უყვარს სისუფთავე, როგორც აბრეშუმის ჭიას. სახლის ახლოს გოგირდს დავწვავ, რომ ქვემძრომი არ გაჩნდეს სადმე და შემდეგ საინკუბატორო პუნქტს მივაკითხავ. მერე იწყება მოუსვენარი დღეები და უძილო ღამეები. ხან ერთ თუთის ხეზე ვარ, ხან მეორეზე. ნორჩ ფოთლებს დანით ვჭრი წვრილწვრილად და ჭიას პირველ სამ ასაკში დღეში 8-10-ჯერ ვკვებავ. ყოველ კანში გამოსვლის შემდეგ, როგორც წესი, ნაძირს ვუცვლი. მეოთხე ასაკში რომ გადავა ჭია, დიდ ლასტებს ვდგამ გრძელ ჭოკებზე, ფრთხილად გადამყავს ჭიები და ოთხჯერ ვაპურებ დღე-ღამეში. მეოთხე ასაკში, ნაძირის გამოცვლის შემდეგ, კიდევ ახალ ლასტებს ვდგამ, უფრო თხლად ვსვამ ჭიებს და საკმაო რაოდენობით ვაყრი ფოთოლს.

თუთის ფოთლები არ უჭირს მატრონეს. ოჯახში მოსვლის დღიდანვე შეუჩნდა ერისტოს: ძველი თუთები გადაამორია და უხვმოსავლიანი ქართული ჯიშის თუთები დაამყნობინა. ახალგაზრდა თუთებიც ბევრი დარგო ეზოში. კარგადმოვლილი ჭიები ოცდახუთ დღეში იწყებენ აბრეშუმის პარკის ახვევას.

— ცახებად მხოლოდ რცხილასა და ქამენიას ვიყენებ, — განაგრძობს მატრონე. — საკუთარი გამოცდილებით ვიცი, რომ რცხილის ცახზე ახვეული პარკი უფრო ხარისხიანია, ქამენია კი თვითონ ჭიებს უყვართ.

ოცი წელია მატრონე ლიპარტიანი მოწინავეთა რიგებში დგას. გასულ წელს მან პირველი გამოკვების დროს ოც გრამ მურზე გეგმით გათვალისწინებული 52 კილოგრამი პარკის ნაცვლად 95 კილოგრამი პარკი ჩააბარა და 400 მანეთი ფულად შეიტანა ოჯახში. მეორე გამოკვებაზე 73 კილოგრამი პარკი ჩააბარა სახელმწიფოს და 250 მანეთი მიიღო.

მატრონეს გამოცდილებაზე ბევრი ახალგაზრდა ქალიშვილი აღიზარდა წყალტუბოს რაიონში. წყალტუბოელებმა 1964 წელს აბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმა 119,5 პროცენტით შეასრულეს და 1965 წლისათვის გაზრდილი ვალდებულებები აიღეს. ამ ვალდებულების შესრულებაში კვლავ თავის წვლილს შეიტანს მატრონე ლიპარტიანი.

ოლია გელოვანი

# რაც პარკი მოუწევია...

28 წელია ლასტებთან ფუსფუსებს. რაც მას დღემდე პარკი მოუწევია, ერთად რომ დაგვეხვავებინა, ალბათ, სიმაღლით მისი სოფლის გორაკებს გაუტოლდებოდა.

მთისძირელი მეაბრეშუმე ალექსანდრა გვენეტაძე თავდადებული შრომითა და საქმის



565 28

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარულით რესპუბლიკაში ცნობილი ადამიანია. გახლდათ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილე და საქართველოს კომპარტიის XX და XXII ყრილობების დელეგატი. იგი დაჯილდოებულია „წარჩინებული მეაბრეშუმის“ სამკერდე ნიშნით და ქების სიგელებით.



ალექსანდრა გვენეტაძე ყოველწლიურად ზრდის პარკის მოსავლიანობას. გასულ წელს პირველ გამოკვებაზე 13 გრამი მურიდან 166 კილოგრამი აბრეშუმის პარკი მიიღო, მეორე გამოკვებაზე კი 9 გრამი მურიდან 66 კილოგრამზე მეტი პარკი მოიწია.

ალექსანდრამ საკუთარი გამოცდილება პირველ რიგში თავის რგოლში დანერგა, რომელსაც ორი ათეული წელია უძღვება. რგოლში 9 ქალია, ცხრავე გამრჯე და მუყაითი. დებივით შეფიცულები შრომობენ ელენე და დომნა სულაქველიძეები, ქეთევან ადეიშვილი, დუსია ალფაიძე, მარიამ გვენეტაძე, მარგალიტა ჩაჩუა და სულიკო გიორგაძე.

ალექსანდრა ჭიის გამოყვანამდე 15 დღით ადრე ინვენტარს ამუშავებს ფორმალინის 4-პროცენტიანი ხსნარით, საჭიე ბინაში გოგირდს წვავს. 24 საათით სათავსო გამოკეტილია, ლასტები და სხვა ინვენტარი გარეთ გამოაქვს და ცხელი წყლით რეცხავს.

ახლადგამოყვანილ ჭიებს ლასტებზე ათავსებს. თუთის ფოთლებს ზემოდან ტილოს აფარებს. ასეთ პირობებში ფოთოლი ინარჩუნებს სიახლეს და ჭიებიც ხალისით ეტანებიან საკვებს.

ჭიებს ყოველ ასაკში ნაძირს ორ-სამჯერ უცვლის და ისე ანაწილებს, რომ ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ კვებასა და ზრდაში. ოთახში თანაბარი ტემპერატურა, განათება და ვენტილაციაა.

— აბრეშუმის ჭიას ჩვილივით მოვლა და მზრუნველობა სჭირდება. კარგად მოუვლი— გაგახარებს. ჭია განუწყვეტლივ კვებას მოითხოვს. ლასტებს ფოთლით აავსებ და თვალის დახამხამებაში აღარაა, — ამბობს ალექსანდრა. — პირველ ხანებში ჭიას ყოველ ორ საათში ერთხელ ვაპურებ. გამოცდილებით ვიცი, აბრეშუმის ჭია ღამითაც რომ იკვებება, უკეთეს პარკს ახვევს და ამიტომ უკანასკნელ ჯერზე ჭიას დილამდე სამყოფ ფოთოლს ვუმატებ.

კვების რეჟიმის ზუსტად დაცვით ჭია ყოველ მეოთხე დღეს იცვლის კანს. დიდ კანში რომ ამოვა, ერთი კვირის შემდეგ პირველ ქსელს გააბამს, მომდევნო სამ დღეში კი პარკის ახვევას ამთავრებს.

აბრეშუმის ჭიის გამოკვებას, ჩვეულებრივ, 35 დღეს ანდომებენ. ალექსანდრამ კი ქისტაურელ მეაბრეშუმეთა მაგალითისამებრ ეს ვადა 7–10 დღით შეამცირა.

აბრეშუმის ჭიისათვის საკვები ბაზის შესაქმნელად ალექსანდრა ეზოში ყოველწლიურად ათობით თუთის ხეს რგავდა და ახარებდა. დღეს მისი კარ-მიდამო სასელექციო სადგურს მოგაგონებთ.

განა მარტო ალექსანდრა გვენეტაძის ეზო მოგხიბლავთ თუთების სიმრავლით? მთისძირში თითქმის ყველა მოსახლეს აქვს გაშენებული თუთის ნარგავები.

მაიაკოვსკის რაიონის ამ ლამაზ სოფელში კარგა ხანია პატარა ოდები კაპიტალურმა ორსართულიანმა სახლებმა შესცვალა. ამ მხრივ ბედის მომდურავი არც გვენეტაძეების ოჯახია. ყველას ხიბლავს მკვიდრად ნაგები და თუნუქით გადახურული მათი ორსართულიანი სახლი.

**შოთა გენძეხაძე**

## ნაუკითხეთ პატარებს

### უკბილო კახა

გუშინ დილით თავის ხელით
ამოიძრო კბილი კახამ,
როცა ჭერში აისროლა,
იცით თაგვს რა დაუძახა?
„თაგუნია, თაგუნია,
მოდი, შენი ჭირიმეო,
ეს ჭიანი კბილი შენ და
შენი კარგი კბილი მეო“.
ეს რომ თაგვმა გაიგონა,
გაიცინა — ხა, ხა, ხა, ხა!
თხილი ჩააკრატუნა და
კახას ასე გადმოსძახა:
„ჩემს კბილებში ცუდს ვერ ნახავ,
სულ მწყობრად მაქვს კიჭი-კიჭო.
შენ გაჩუქებ კარგ კბილს, მაგრამ
არ გაწუწკდე, კახა ბიჭო!“

### წიწილებო წია, წია

პაწაწინა წიწილებო,
მოდით ჩემთან, წია, წია,
თქვენ რომ არ გყავთ მართა ბებო,
აკვანი ვინ დაგირწიათ?
მოდით გულში ჩაგიხუტებთ,
მე დიდი ვარ, თქვენ — პაწია.

**ეთერ ჯიშკარიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რომელია დამნაშავე?

**პირველად** მარტო მოვიდა ჩვენთან, მოვიდა როგორც ქალის მრჩეველთან და ქომაგთან: — მომეხმარეთ, სასამართლომ გაგვყარა; ბინა ჩემია, ჩემი ოფლით ნაშოვნი, ის კი სახლიდან მაინც არ მიდის, არ შემიძლია უთქვენოდ სიცოცხლეო. ყოველდღე მთვრალია, აყალმაყალს მიტეხავს. ახლა შუშაბანდში სძინავს, მაგრამ დათვრება თუ არა, მაშინვე ოთახში შემოჭრას ლამობს. წარმოიდგინეთ ბავშვების მდგომარეობა; ბიჭი უკვე 13 წლისაა, შეიძლება ყოველ დღე ასეთ სცენებს უყურებდეს?!

კითხვას კითხვითვე ვპასუხობთ:

— კი მაგრამ, უმამოდ უკეთესია ბავშვისათვის?

ქალს გამხდარ ყელზე ძარღვები ლურჯად დაებურცა:

— რა თქმა უნდა, ასეთი მამის ყოლას უყოლობა სჯობია.

— რომ შეგარიგოთ, რომ მიატოვოს სმა?

— ვერ შესძლებთ, სმას არ მიატოვებს, ეგ არ მოხდება! — სიანჩხლე დაეტყო ხმაში. — მამამისიც ლოთია, სისხლში აქვთ ღვინის სიყვარული.

— ხომ არა გცემთ?

—ეგღა მაკლია! აბა, გაბედოს!!

მერე ნადეჟდა დასაევა დაწვრილებით მოგვიყვა თავისი ცხოვრების შესახებ. გათხოვდა იმედებით, ოცნებებით სავსე. ნიკოლოზი ლამაზი, მოსიყვარულე ყმაწვილი იყო, მაგრამ მალე აურია; სმა და ეჭვიანობა დაიწყო. მაშინ წყალტუბოში ცხოვრობდნენ. ნიკოლოზი მძღოლად მუშაობდა, ნადეჟდა ბუღალტრად. გაბეზრდა ქალი და გაეყარა ქმარს. დედასთან და პატარა იგორთან ერთად თბილისში გადმოსახლდა, მუშაობა დაიწყო. დაწესებულებამ ბინა მისცა. ცხოვრობდა თავისთვის მშვიდად. მაგრამ ბავშვს მამა უნდოდა. ყველას ჰყავდა მამა, იგორს კი არა.

სად იყო ამ დროს ნიკოლოზი? გზააბნეულმა მთელი რუსეთი შემოიარა. ბოლოს ველარ ეასძლო და ცოლს პატიება სთხოვა. ათასი პირობა დასდო, გამოვსწორდებიო.

და, მოტყუვდა ნადია, მწარედ მოტყუვდა. ცოტაოდენი შესვენების შემდეგ ნიკოლოზმა ისევ სმას მიჰყო ხელი. ისევ გაიყარა ცოლ-ქმარი (ამჯერად სასამართლოს წესით). მათ ახლა უკვე ორი შვილი ჰყავდათ; გოგონა შეემატა ოჯახს.

მაგრამ ნიკოლოზი სახლიდან აღარ წავიდა, ანდა სად უნდა წასულიყო, როცა წასასვლელი არსად ჰქონდა.

— თქვენთან იმიტომ მოვედი, რომ მომეხმაროთ, ჩააგონოთ წავიდეს სახლიდან. გვაცალოს ცხოვრება.

მეორედ, ჩვენი სურვილის თანახმად, რედაქციაში ისინი ერთად მოვიდნენ.

ნიკოლოზი თავჩაღუნული ზის. სწორნაკვთებიანი სახე აქვს, მშრომელი კაცის დაძარღვული, გაუხეშებული, ღონიერი ხელები, რომლებიც ახლა ბავშვივით უმწეოდ მუხლებზე ულაგია და მორჩილად დუმს.

გაგონებაც არ უნდა სახლიდან წასვლაზე: — გამოვსწორდები, აღარ დავლევ, როგორ მოვშორდე ბავშვებს?!

ცოლი ირონიულად იჩეჩავს მხრებს: — ასე იცის, ბევრს დაგპირდებათ, შესრულების თავი კი არა აქვს!

— აღარ გამეორდება, — ირწმუნება ქმარი.

გადაწყდა: ნიკოლოზმა ღვინო აღარ დალიოს, დაამტკიცოს, რომ იგი ღირსეული მამა და ქმარია. საგამოცდო ვადის „6 თვის" შემდეგ, ნადია ქმარს შეურიგდება.

გავიდა ორი კვირა, ერთი თვე. ქალს რედაქციის კარი აღარ შემოუღია. კიდევ ერთი თვე... მგონი კეთილი საქმე გავაკეთეთ.

ორთვენახევრის შემდეგ ისევ მოვიდა... იმედგაცრუებული შევყურებთ; ვეღარ მოითმინა, ალბათ, ისევ დალია.

— ხომ გეუბნებოდით, დაღუპულია მაგის საქმე, არაფერი არ გამოვა!

მეორე დღეს სახლში ვეწვიეთ, არ გველოდნენ. ქალი ჯერ სამსახურიდან არ დაბრუნებულა. კაცს შუშაბანდში სძინავს პალტოწახურულს. სწრაფად წამოვარდა, სახე გაწითლებული, ნამძინარევი აქვს.

— აი, ახლაც მთვრალი გგონივართ, ალბათ. — გვეუბნება იგი და პირის დასაბანად გარბის. ამჯერად, მართლაც არაა მთვრალი.

— ორ თვეზე მეტი ვითმინე, — დაიწყო აღსარებასავით. — თვითონ მას ჰკითხეთ. ყველაფერს ვუგონებდი, სახლსაც ვულაგებდი, სადილსაც ვუკეთებდი. მისგან კი რა მივიღე, ისევ ის გულციობა, ისევ უყურადღებობა, ერთხელაც არ გაურეცხია ჩემი პერანგი და ლოგინის თეთრეული. რატომ უნდა გაგირეცხო, მე და შენ ხომ სასამართლოს ძალითა ვართ გაყრილი, სად გინახავს ქალი უცხო მამაკაცს ემსახურებოდესო. ჰოდა, ხომ იცით, ბოღმას ღვინო ყველაზე კარგად შველის. დავლიე! მერე რა მოხდა, კაცს ღვინო არ დაულევია?! აგერ ჩვენი მეზობელი მთვრალი რომ მოვა, ცოლი სანამ ლოგინში ჩააწვენდეს, სულ შენი ჭირიმეს ეძახის. მე კი... ეჰ!..

— შემაძულე თავი და იმიტომ, — ზიზღით ამბობს ნადია, რომელიც კარგა ხანია შემოვიდა და რატომღაც, საკუთარ სახლში სტუმარივით ფეხზე დგას, დაჯდომას ვერ ახერხებს.

— ის როგორ იყო, — არ აცლის ქმარი, — შვიდ ნოემბერს დასთან რომ წაბრძანდი. სახლში მოვედი, კარი დაკეტილი დამხვდა, — მოგვიბრუნდა ახლა ჩვენ. — გული დამწყდა. ეჰ, ამ ცხოვრებისა რა ვთქვა, კაცს ცოლშვილში ვერ გაგიხარია-მეთქი. გამოვბრუნდი, ცოტა დავლიე და ცოლისდას მივადექი. მინდოდა ცოლშვილი სახლში წამომეყვანა, ჩემ ჭერსაც გაეცინა დღესასწაულზე. საქმეში ხარ?! ძაღლადაც არ ჩამაგდეს. მეტი აღარაფერი მახსოვს. ცოლისდის აივანზე გამეღვიძა. ალბათ, სიცივემ გამაღვიძა. მთლად გაყინული ვიყავი, მთვრალი აღარ ვიყავი, მაგრამ მთვრალი კაცივით კი წამომივიდა ლაპალუპით ცრემლები.

— ახლა რას მიბრძანებთ?! სახლიდან წავიდე, სად წავიდე?! ჩემი შვილები ვის დავუტოვო. ეჰ, დაღუპული კაცი ვარ...

დამძიმებული გულით ვბრუნდებით. გვეცოდება ნადია, გვეცოდება ნიკოლოზიც. მე კაცს ვამტყუნებ, ჩემი თანამგზავრი — ქალს.

საქმე მაინც მოუგვარებელი რჩება. რას ვიზამთ! ხომ არის ისეთი საქმეც, რომელსაც ვერც კანონი შველის, ვერც კაცი?! მაინც გვაწუხებს აზრი, როგორ წავა მათი ცხოვრება შემდგომში. მაინც, რომელია დამნაშავე?

**ნანული ცაგარეიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა კანონმდებლობა ქალთა უფლებების დამცველი

ჩვენი სამშობლოს ძირითად კანონში, სსრ კავშირის კონსტიტუციაში საკანონმდებლო წესით არის განმტკიცებული ქალის თანასწორი უფლებები მამაკაცთან საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში.

საბჭოთა კანონმდებლობით დაწესებულებების, ორგანიზაციების და საწარმოების ისეთი ხელმძღვანელები, რომლებიც ანგარიშს არ გაუწევენ ქალის ბუნებრივ თვისებებს და აგრეთვე ორსულობის ან სხვა მოტივის მომიზეზებით უარს ეტყვიან ქალს სამუშაოზე მიღებაზე, მიცემული იქნებიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

გარდა ამისა, საბჭოთა კანონმდებლობა სისხლის სამართლის წესით სასტიკად სჯის იმ პირებს, რომლებიც შეეცდებიან ისარგებლონ თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობით და აიძულონ ქალი სქესობრივი კავშირის დაჭერისათვის.

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა ასევე მკაცრ პასუხისმგებლობას აწესებს იმ პირთა მიმართ, რომლებიც მოიტაცებენ ქალს მასთან ქორწინების მიზნით ან მუქარით, დაშინებით, დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით სქესობრივ კავშირს დაიჭერენ ქალთან.

9753.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულება სიკვდილით დასჯის უმაღლეს ზომას აწესებს იმ პირთა მიმართ, რომლებიც ჯგუფურად გააუპატიურებენ ქალს ან ასეთ დანაშაულს ჩაიდენს ერთი პირი არასრულწლოვანის მიმართ.

ამრიგად, საბჭოთა კანონმდებლობა მტკიცედ იცავს ქალის პატიოსნებას, მის მაღალ ზნეობრივ თვისებებს და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სავსებით აღმოიფხვრას ქალისადმი უპატივცემულო დამოკიდებულების ძველი გადმონაშთები, მისი უფლებათა დამცირების შემთხვევები და ქალის უდიდესი როლის შეუფასებლობა ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლის საქმეში.

სულ სხვა მდგომარეობაა ამ მხრივ კაპიტალისტურ ქვეყნებში. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველ 12 წუთში ქალი ჰყიდის თავის თავს, ხოლო ყოველ 2 საათსა და 15 წუთში ქალის ძალადობით გაუპატიურება ხდება. ამერიკაში ყოველ 24 წუთში ვიღაც იკლავს თავს, მათი უმრავლესობა ქალია. ეს ფაქტები ნათლად მეტყველებენ ამერიკელ ქალთა მორალური და საზოგადოებრივი ცხოვრების მეტად სამარცხვინო დონეზე.

საბჭოთა **კანონმდებლობა ითვალისწინებს** ქალის ორგანიზმის სისუსტეს და კრძალავს ზოგიერთ ობიექტზე მის მუშაობას. ასეთ ობიექტებს ეკუთვნიან ქარხნები, სადაც მუშებს საქმე აქვთ უშუალოდ ფოლადის დნობასთან, გადნობილი ფოლადის გადასხმასთან, გავარვარებულ ღუმელებთან, რკინიგზებზე ვაგონების გადაბმასთან და სხვა. ქალთა შრომა აიკრძალა, აგრეთვე, შახტებში და მიწის ქვეშ წარმოებულ მშენებლობებზე. აქ ქალთა შრომა დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ფიზიკურად არ მუშაობს და იმყოფება ხელმძღვანელ პოსტზე, აგრეთვე მაშინ, თუ ექთანის ან საჭმლის მიმტანის მოვალეობას ასრულებს,ან კიდევ ისეთი თანამდებობა უკავია, რომ მიწის ქვეშ ხშირად ჩასვლა და ამოსვლა არ უხდება. ქალებს აკრძალული აქვთ იმ გემებზე მუშაობა, რომლებიც აწარმოებენ თევზის ძიებასა და ჭერას.

საბჭოთა შრომის კანონმდებლობა ადმინისტრაციას უკრძალავს დაავალოს მუშა-ქალებს მძიმე ნივთების გადატანა. ხელით გადასაზიდი ნივთის წონა ერთი ქალისათვის არ უნდა აღემატებოდეს 20 კგ, ხოლო ორი ქალისათვის საზიდრით გადასატანი ნივთის წონა არ შეიძლება აღემატებოდეს 50 კგ. გოგონები 16-დან 18 წლის ასაკამდე შეიძლება დაშვებულ იქნან ნივთების გადასაზიდ სამუშაოზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნივთის წონა არ იქნება 4,1 კგ მეტი.

სსრ კავშირის პროფსაბჭოს სამდივნოს 1954 წლის 2 აპრილის დადგენილების საფუძველზე ორსული ქალები და აგრეთვე დედები, რომლებსაც ჰყავთ 12 წლამდე ასაკის ბავშვები დასვენებისა და დღესასწაულის დღეებში თავისუფლდებიან სამსახურის ადგილზე ყოველგვარი მორიგეობისაგან.

მუშა-მოსამსახურეთათვის პენსიის დანიშვნის დროს საპენსიო თანხის ოდენობის განსაზღვრისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს განუწყვეტელ სტაჟს. საბჭოთა შრომის კანონმდებლობა ორსული და ჩვილბავშვიანი მუშა-მოსამსახურე ქალებისათვის აწესებს განუწყვეტელი სტაჟის შენარჩუნების გარკვეულ შეღავათებს. საწარმოსა და დაწესებულების ადმინისტრაციას ეკრძალება ორსული და ჩვილბავშვიანი ქალების ღამით მუშაობა, დაწესებულ სამუშაო დროზე ზევით მათი დატვირთვა და სამუშაო ადგილზე გაჩერება, მივლინებაში გაგზავნა. ორსული ქალები აღჭურვილნი არიან უფლებით გადავიდნენ შედარებით უფრო მსუბუქ სამუშაოზე ხელფასის სრული ოდენობის შენარჩუნებით, ინიციატივა ასეთი ღონისძიების გასატარებლად თვით ადმინისტრაციას ევალება.

ჩვილბავშვიან დედებს სამსახურის დროს ეძლევათ დამატებითი შესვენება არანაკლები 30 წუთისა ყოველ 3,5 საათში, ან იმისდამიხედვით, თუ დროის რომელ მონაკვეთში უნდა მოაწოვოს დედამ ბავშვს ძუძუ. ასეთი შეღავათები გრძელდება ძუძუს წოვის მთელი პერიოდის განმავლობაში. დამატებითი შესვენება ბავშვის დაბადების დღიდან 9 თვის განმავლობაში ეძლევათ ისეთ დედებსაც, რომლებსაც ბავშვები ხელოვნურ კვებაზე ჰყავთ გადაყვანილი.

საბჭოთა კანონმდებლობის საფუძველზე ორსულ ქალებსა და ჩვილბავშვიან დედებს რიგითი შვებულების გარდა ეძლევათ დამატებითი შვებულებები. ამასთან ერთად დაშვებულია რიგითი და დამატებითი შვებულებების შეერთება და მათი ერთად სარგებლობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 26 მარტის ბრძანებულების შესაბამისად შვებულების ვადა ორსული ქალებისათვის განისაზღვრება 56 კალენდარული დღით მშობიარობამდე და ამდენივე დღით მშობიარობის შემდეგ. თუ ქალს მძიმე მშობიარობა ჰქონდა ან ტყუპი დაიბადა, მაშინ შვებულების ვადა 70 კალენდარულ დღემდე გრძელდება. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში შვებულების ხელფასს ქალებს უნაღდებს სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ორგანოები. ასეთი წესით ხელფასიანი შვებულების დამთავრების შემდეგ, ჩვილბავშვიან დედებს უფლება აქვთ თავიანთი სურვილის მიხედვით აიღონ კიდევ დამატებით უხელფასო შვებულება სამ თვემდე ვადით. ასე, რომ შეიძლება ქალი 7-8 თვის განმავლობაში არ გამოცხადდეს სამუშაოზე. და მიუხედავად ამისა, მთელი გაცდენილი დრო მას ჩაეთვლება განუწყვეტელ შრომის სტაჟში. განუწყვეტელ შრომის სტაჟს კი დიდი მნიშვნელობა აქვს საპენსიო თანხის ოდენობის განსაზღვრის დროს.

კანონის ძალით, მომუშავე ქალზე შრომის უუნარობის ფურცელი გაიცემა იმ შემთხვევაშიც კი თუ იგი დაკავებული იქნება ოჯახის ავადმყოფი წევრის მოვლით. ასეთ დროს ბიულეტენი გაიცემა 3 დღემდე ვადით. ამ ვადის გაგრძელება შეიძლება მხოლოდ ისეთ გამონაკლისს შემთხვევაში, თუ ოჯახში მყოფი ავადმყოფის მდგომარეობა გაუარესდება. საავადმყოფოში გადაყვანილი ბავშვის მოვლისათვის დედაზე შეიძლება გაცემულ იქნას ბიულეტენი ბავშვის საავადმყოფოში ყოფნის მთელ პერიოდში. გათვალისწინებულია, აგრეთვე, ქალისათვის სხვადასხვა შეღავათები, რაც მას სრულ შესაძლებლობას აძლევს არ მოაკლოს ზრუნვა და ყურადღება ბავშვებს,ავადმყოფ ოჯახის წევრებს და ამავე დროს არ დაერღვეს განუწყვეტელი შრომის სტაჟი.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვისა და ყურადღების შედეგია, რომ საბჭოთა ქალები თავდადებით შრომობენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის ასაშენებლად.

დოცენტი **ვ. ფარქოსაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ცეცილია წუწუნავა



დარეჯანი. „კაცია-ადამიანი?!“



ხორეშანი. „მეჯლანუაშვილი“.

ცეცე!... ასე ეძახდნენ ბავშვობაში.

ია-ვარდით არ ჰქონია გზა მოფენილი. წლისაც არ იყო, რომ დედით დაობლდა. ბავშვის აღზრდას ხელი მოჰკიდეს ბიძამ—მაქსიმე წუწუნავამ და ბიცოლა დონემ. ისინი თავს ევლებოდნენ პატარას, ცდილობდნენ მშობლიური ალერსი არ მოეკლოთ მისთვის.

გურიის ერთერთი ლამაზი სოფელია გურიანთა. ბუნების ამ ლამაზ წიაღში წამოიზარდა ცეცილია. აქ ჩაუფიქრდა იგი ცხოვრების ავ-კარგიანობას, აქ გაიცნო მან უბრალო, მშრომელი ადამიანები, შეიცნო მათი ტკივილები და მისწრაფებანი.

„მახსოვს, ოზურგეთში, ჩემს სახლში, ბავშვები ხშირად ვმართავდით პატარ-პატარა წარმოდგენებს. ცეცილია ჩვენი სპექტაკლების სული და გული იყო. განსაკუთრებით, იშვიათი სიმსუბუქითა და მოხდენილობით ასრულებდა კომიკურ როლებს. ამიტომ ხშირად გვიწევდა ერთმანეთის პარტნიორობა. ცეცილია სცენაზე იშვიათი ბუნებრიობით და გამომგონებლობით გამოირჩეოდა და ისეც მომხდარა, რომ მაყურებელთა სიცილი ჩვენც გადმოგვდებია“ — იგონებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი სანდრო ყორყოლიანი.

ცეცილიამ სწორედ აქ მიიღო პირველი სცენური ნათლობა, აქ განიცადა შემოქმედის პირველი სიხარული.

არც ქართული სცენის ჯადოქრებს: ლადო მესხიშვილისა და ნუცა ჩხეიძეს გამოჰპარვიათ ამ ჩუმი, სათნო და მოკრძალებული გოგონას ნიჭი, სცენაზე მისი გარდასახვის უნარი, რომელსაც ოზურგეთში, როგორც სცენისმოყვარეს, მათთან ერთად მოუხდა თამაში.

ფოთის ქალთა გიმნაზიის დამთავრების შემდეგაც ცეცილიას კავშირი არ გაუწყვეტია სცენისმოყვარულთა წრეებთან. იყო ის, — საქალაქო სკოლის მასწავლებლად, თუ აფხაზეთში, სადაც პირველდაწყებითი სკოლა დააარსა, სოფელი ანასტასიევკაში,— ორკლასიანი სკოლის გამგედ, თუ შემდეგ ოზურგეთში,— საქალაქო სკოლის მასწავლებლად, ცეცილიას ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია მსახიობობაზე ფიქრი.

1916 წლის ზაფხული... გურიის ერთ-ერთი სოფლის მცხოვრებნი უჩვეულო სანახაობის მოწმენი გახდნენ: აქ იღებდნენ პირველ ქართულ მხატვრულ ფილმს „ქრისტინეს“, ე. ნინოშვილის ცნობილი მოთხრობის მიხედვით.

„პრიმიტიული ტექნიკით, ყოველგვარი სახსრებისა და გამოცდილების გარეშე, მხოლოდ თავის პატრიოტულ გრძნობას, მხატვრულ ფანტაზიასა და თეატრალურ გამოცდილებას დაყრდნობილი რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა „ქრისტინეს“ სახით ქმნის პირველ ქართულ მხატვრულ ფილმს (კ. გოგოძე — „ნარკვევები ქართული კინემატოგრაფიის ისტორიიდან“.)“.

ცეცილია წუწუნავა ამ ფილმში გლეხი გოგოს ეპიზოდურ როლს ასრულებდა.

და აი, საკუთარ ძალებში ღრმად დარწმუნებული ც. წუწუნავა, საბოლოოდ თავს ანებებს პედაგოგიურ მოღვაწეობას და თეატრის მოღვაწეთა რჩევით სამუშაოდ გადადის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში.

აუხდა ცეცილიას დიდიხნის ნატვრა — უბრალო სცენისმოყვარემ შეაღო წმინდა ტაძრის კარი. ამ დღიდან თეატრი იქცა მისთვის წმიდათა წმიდათ. თეატრი გახდა მისი ოჯახური სითბოს სანაცვლო, ტკივილების მკურნალი, თუ სიხარულის მომნიჭებელი.

ცეცილია აქტიურად ჩაება თეატრის ცხოვრებაში. სულ მოკლე ხანში შესანიშნავი აქტიორული თვისებები გამოამჟღავნა. მალე მას მთავარი როლების შესრულებაც მიანდვეს. განსაკუთრებით მოსაწონი იყო ცეცილიას მიერ განსახიერებული სალიხე (ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე“) და კაროჟნა (დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი“). ამიტომაც იყო, რომ დიდმა ხელოვანმა, კოტე მარჯანიშვილმა სხვა ნიჭიერ ახალგაზრდა მსახიობებთან ერთად ხელი მოჰკიდა ც. წუწუნავას აღზრდას. ამ დღიდან მოკიდებული, მსახიობი დიდი მონდომებითა და გატაცებით მუშაობს თავის თავზე. იგი ყოველდღიურად იმდიდრებს გამომსახველობით საშუალებათა არსენალს, ერთ მტკიცე, გარკვეულ სისტემაში აყალიბებს თავის ცოდნის და გამოცდილებას. ამ პერიოდში ცეცილიამ რთულ ტიპთა მთელი გალერეა შექმნა. აი ისინიც: კვიკლი (შექსპირის „უინძორის ცელქი ქალები“), ჟურდენის ცოლი (მოლიერის „გააზნაურებული მდაბიო“), პაჟი და გოგონა (ოდრანის „მასკოტა“), ლაურა-ხასინტა (ბესაკენტეს „ინტერესთა თამაში“), ქვრივი ევინი (სინგის „გმირი“) და სხვა.

ასევე კინოშიც: სალიხე („ვინ არის დამნაშავე“), მელანო („სამანიშვილის დედინაცვალი“), დედინაცვალი („გიული“), მალაელი ქალი („ამოკი“), საიდულას ცოლი („ელისო“).

1928 წელს კ. მარჯანიშვილმა ხელოვანთა საუკეთესო ძალებზე დაყრდნობით ქუთაისში მეორე სახელმწიფო თეატრი დააარსა „ქუთაის-ბათუმის სახელმწიფო დრამის“ სახელწოდებით. მარჯანიშვილმა სხვა ცნობილ მსახიობებთან ერთად ც. წუწუნავაც მიიწვია. ცეცილია უყოყმანოდ გაჰყვა დიდ ხელოვანს ქუთაისის თეატრში სამუშაოდ.



დედინაცვალი. „გიული“



ელისაბედი. „დავიწყებული სახლი“

„მარსელინა. „ფიგაროს ქორწინება“.



და აი, იმავე წლის ნოემბერში, ერნსტ ტოლერის რევოლუციური პიესის „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“ დადგმით გაიხსნა ახალი თეატრის პირველი სეზონი. ამ სპექტაკლში ც. წუწუნავამ მომაკვდავი ბურჟუაზიის წარმომადგენლის, სულიერად დაცლილი, ფუქსავატი ქალის ფრაუ კილმანის დაუვიწყარი სახე შექმნა. შემოიარეთ ხოლმე ჩვენთან“ —ვისაც კი ახსოვს ცეცილიას მიერ წარმოთქმული ფრაზა ამ სპექტაკლში, ახლაც ცოცხლად დაუდგება ხოლმე თვალწინ ფრაუ კილმანი.

საერთოდ ც. წუწუნავა ეპიზოდური როლების შესანიშნავ შემსრულებლად იყო აღიარებული. თეატრსა და კინოში მისი მოღვაწეობის მანძილზე ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც მსახიობისათვის სულ უმნიშვნელო როლი შეუთავაზებიათ. ცეცილია არ თაკილობდა პაწია როლებს, პირიქით, იგი დიდი გულისყურით და მონდომებით მუშაობდა ერთი შეხედვით თითქოს და უმნიშვნელო სახეებზე. ტექსტობრივად ამდიდრებდა დიალოგს და ხშირად წინა პლანზე წამოსწევდა ამა თუ იმ ხასიათს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მსახიობის მიერ განსახიერებული ლირსა პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერში“. პიესაში ეს როლი საერთოდ არც ყოფილა. როგორც გამოირკვა, ეს კომიკური ტიპი კ. მარჯანიშვილმა ავტორთან ერთად ც. წუწუნავასათვის შექმნა და სპექტაკლის მეოთხე მოქმედებაში ჩართო. მსახიობმა სულ მოკლე დროში არა მარტო აითვისა როლი, შესამჩნევად გაამდიდრა კიდეც. ცეცილიას გამოჩენაზე მაყურებელთა დარბაზს ჰომერიული სიცილი ეუფლებოდა. განსაკუთრებით მაშინ, როცა ყვარყვარე კაკუტას არჩევანს უწუნებს —შვილი არ ეყოლებაო, ლირსა კი დამორცხვებული წარმოთქვამდა „როგორ არ მეყოლება?..“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მეჯღანუაშვილის“ დადგმაზე ვმუშაობდი, — გვიამბობს რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი. — იყო ერთი პატარა როლი: კნეინა ხორეშანი. გუმანით ვგრძნობდი, რომ ამ როლს ცეცილია გააცოცხლებდა... გაუბედაობას ვძლიე და შევთავაზე. დიდი სიამოვნებით მიიღო როლი. რეპეტიციები ახლადდაწყებული იყო... ეპოქა კარგად მქონდა შესწავლილი და მსახიობებს უხვი ფერებით ვუხატავდი ტიპიურ გარემოს. ლაპარაკის დროს ჩემი ყურადღება მიიქცია ცეცილიამ... უცებ გოროზი გამომეტყველება მიიღო და ყველას გასაგონად, ბოხი ხმით, მრავალმნიშვნელოვნად წამოიძახა „და, და—!..“ მსახიობებში ხარხარმა იფეთქა. ცეცილიამ უფრო ენერგიულად განაგრძო „ვჩერაშნი მეჯღანე დღეს ოქროს დროშკით დაპარპაშებს ქალაქის ქუჩებში...“ და ოდნავ მისგან დაცილებულ ქალიშვილებს დამტუქსავი როხროხით მოუყარა თავი ერთ ადგილზე: „ცაცა, ცუცა, ა გდე ნუცა!..“

მერე მაზურკას ბარაქიანი ცეკვა მეჯღანუაშვილების ბალზე, შემდეგ კარტის თამაში არაგვიშვილების ბინაზე და... ჩემი მუშაობის პირველინაბიჯებიდანვე დამარწმუნა ცეცილიამ იმ ჭეშმარიტებაში, რომ არ არსებობს პატარა და დიდი როლი, არსებობს პატარა და დიდი მსახიობი“.

მართლაც და არ არსებობდა ც. წუწუნავასათვის დიდი და პატარა როლი. ამას ნათლად მოწმობს მის მიერ „კაცია ადამიანში?!“ დიდი მხატვრული სიმართლით გახსნილი დარეჯანის სახე.

თანაბარი სიძლიერით თამაშობდა იგი როგორც ქართულ („ნაპერწკლიდან“— მაკა, „ნინოშვილის გურია“ — სუსანა, „მისივარსკვლავი“ — თინათინი), ასევე უცხოურ რეპერტუარში („ფიგაროს ქორწინება“ — მარსელინა, „რევიზორი“ — ანა ანდრეევნა და სხვა).

როლის ინდივიდუალური გააზრება, ზომიერება, უაღრესად დახვეწილი მეტყველება, შესაფერისი რიტმი და ინტონაცია, პარტნიორის გრძნობა და უდიდესი შრომისუნარიანობა, აი, ის შესანიშნავი აქტიორული თვისებები, რომელთა შემწეობითაც უბრალო სცენისმოყვარემ პროფესიონალი მსახიობის სასიქადულო სახელი დაიმკვიდრა.

პარტიამ და ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასა ქართული კულტურის დიდი მოამაგე და 1939 წელს ცეცილია წუწუნავას რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება მიანიჭა.

... გზა განვლილია... რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე, შემოქმედებითი გზა... მაგრამ წარუშლელია ც. წუწუნავას შემოქმედება ქართული თეატრის ისტორიაში. კინოეკრანებზე კვლავ ჩქეფს მისი ნიჭი და ადამიანური სითბო. იგი მუდამ დარჩება ქართველი მაყურებლის ხსოვნაში და ახალი მწვერვალებისაკენ გზას გაუნათებს ახალგაზრდა შემოქმედთ.

**ზურაბ ჩხაიძე**

# ჩვენი საოჯახო კლუბი



ექიმის კაბინეტი. სკამზე ახალგაზრდა ქალი ზის, ცალი ხელი პატარა ბიჭისთვის მაგრად ჩაუვლია და ლაპარაკობს ხმადაბლა, სხაპასხუპით, მაგრამ, მის ხმაში სასოწარკვეთილება და ძლივს შეკავებული ცრემლები იგრძნობა.

— გვიშველეთ, ექიმო! მითხარით, რა ვუყოთ ამ გადარეულს? პირდაპირ სიცოცხლე გაგვიმწარა...

ქოჩორა ბიჭუნა კი ზის ჩუმად, მშვიდად და არსად არ აპირებს გაქცევას. მხოლოდ ეშმაკურად მოელვარე თვალები და ოდნავ შეყრილი წარბები ამჟღავნებს მის ინტერესს ექიმის „სათამაშო“ ჩაქუჩისა და ფონენდოსკოპისადმი.

— ახლა რომ ოჩანი ხარივით ხარ გაჩერებული, უჩვენე, აბა, ექიმს რა შვილიც ბრძანდები!

მაგრამ ბავშვის მთელი გულისყური ამ უცნაური ექიმისკენაა მიმართული, რომელიც ასე მხიარულად უკაკუნებს ჩაქუჩს მუხლისთავებზე, ახელიებს და ახუჭინებს თვალებს, ხელებს წინ ამართვინებს და თითით რაღაცეებს ისე უხაზავს მუცელზე. რომ ბიჭს საშინლად ეღიტინება.

ჩვენი საუბარი თითქმის მთელი საათი გრძელდებოდა, „გადარეული“ კი სიგიჟის ნიშანწყალსაც არ ამჟღავნებდა. ამან დედა აღაშფოთა. მას სურდა, რომ მისნაამბობს თვალსაჩინო მტკიცებაც დართვოდა, რათა ექიმი დარწმუნებულიყო, რა მძიმედ იყო ბავშვი დაავადებული და მიეღო რაც შეიძლება გადაუდებელი და სერიოზული ზომები. გარდა ამისა, ქალი შიშით მოელოდა, რომ ჰა, სადაცაა ანდრო მაინც ჩაიდენს რაღაც საშინელებას. ელოდა, ეშინოდა და თითქოს ერთი სული ჰქონდა, ეს სასირცხვო ამბავი მალე მომხდარიყო და წარსულს ჩაბარებოდა.

— როცა ანდრო სასკოლო ასაკის შეიქნა, —უამბობდა ექიმს დედა,—ის თავის „გმირობას“ რაღაც განსაკუთრებულად, ხაზგასმით და თავზეხელაღებით ჩადიოდა. შემდეგ, როცა მას სკოლაში „ძნელად აღსაზრდელი ბავშვი“ უწოდეს, ეს თითქოს იამა კიდეც, და ახლა ცდილობდა რაც შეიძლება გაემართლებინა ეს სახელწოდება. მისი „ვაჟკაცობით“ აღფრთოვანებულ თანატოლებში.

როცა დედის ნაამბობს უსმენდა, ექიმი ფიქრობდა, რომ ზოგჯერ მშობლებს, რომელთაც იმედი აქვთ დაკარგული, რომ ვერაფერს გააწყობენ ბავშვთან და შველას ექიმთან ეძებენ, აზრადაც არ მოსდით, რომ ხშირად თვითონ უფრო საჭიროებენ მკურნალობას, ვიდრე მათი აღსაზრდელები.

ანდროს არ აღმოაჩნდა ნერვული სისტემის არავითარი დაავადება. მისი მაღალი აღგზნებადობა და თავდაუჭერელი ხასიათი არ იყო ადრე გადატანილი მძიმე ინფექციური სნეულებების ან თავის ტვინის ტრავმის შედეგი. საერთოდ, ადრეულ ბავშვობაში ანდრო არ ამჟღავნებდა ნორმიდან გადახრის რაიმე ნიშნებს და უცებ...

სერვანტის ვიტრინაში სასაცილო ფიგურები ეწყო, რომლებიც დიდიხანია ბიჭუნას ყურადღებას იქცევდა. ერთხელ ცნობისმოყ-

ვარე ბავშვმა სერვანტთან თავისი პატარა სკამი მიაჩოჩა და ვიტრინის შუშა გამოაღო. უცებ სკამმა უმტყუნა, დასრიალდა, ანდრო ხელებით რაღაცას ჩაეჭიდა და როცა თავი ვერ შეიკავა და იატაკზე ზლართანი მოიღო, გრუხუნით ჩამოილეწა ჩაის სერვიზიც. შეშინებულმა, ხელნატკენმა ოთახში შემოსულ დედას მიაშურა, რომ იმას ენუგეშებინა და დაეფარა; მაგრამ ბავშვი უვნებელი იყო, სერვანტი კი — გატეხილი და ქალმა ვერ შეიკავა თავი, რომ არ დაეყვირა. ხმაურზე მამა გამოვიდა და ანდრო მაშინ სასტიკად დასაჯეს.

მამამ თავისი მოვალეობა შესრულებულად ჩასთვალა და მალე დამშვიდდა. დედამ გამოიგლოვა დამსხვრეული ჭიქები და ისიც დაწყნარდა. მხოლოდ ბიჭი ვეღარ დამშვიდდა. დაბადებიდან შთაბეჭდილებიანმა, ალერსსა და თავისუფლებას მიჩვეულმა ბავშვმა მძიმე სულიერი ტრავმა მიიღო სწორედ იმ მომენტში, როცა ნუგეშს ელოდა.

ფსიქიურმა ტრავმამ, რომელსაც თან ერთვოდა სირცხვილის გრძნობაც, ლამის გააფთრა ბიჭი. ახლა მასთან რაღაც გულთბილი, მეგობრული გასაუბრება იყო საჭირო, რაღაცის ახსნა, განმარტება. მაგრამ უფროსებს თავი ისე ეჭირათ, თითქოსდა არაფერი მომხდარაო, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ ის მკაცრი დასჯა შეესატყვისებოდა დანაშაულის ხასიათს. სინამდვილეში ისინი დანაშაულის სიმძიმეს ზომავდნენ მიყენებული ზარალის სიდიდით, ესე იგი, სერვიზის ღირებულებით. მშობლებმა თავი არ შეიწუხეს, რომ ფაიფურის ნამსხვრევებს იქით დაენახათ ბავშვის საქციელის ჭეშმარიტი მოტივები და ამით დაამსხვრიეს უფრო ძვირფასი რამ — ბავშვის ნდობა, ერთგულება და თავისი ავტორიტეტი.

ბავშვის თვალში იმ სერვიზს არ ჰქონდა ფასი და ამიტომ მას ვერ გაეგო, რატომ დაისაჯა ასე სასტიკად. სამი წლის ბავშვს ჯერ არ ძალუძს მშვიდად იმსჯელოს, სამაგიეროდ ის მშფოთვარედ განიცდის.

მშობლების შიში უკვე ხელფეხს უბორკავდა ბიჭუნას, უხშობდა ინიციატივას და ხალისს, უკარგავდა ინტერესს. ის ხომ პირველად უცხო ნივთებისადმი ინტერესის გამო გაიროზგა! დროდადრო, როცა ბიჭი ცოტახნით თავისუფლდებოდა ამ შიშისაგან, თავისი ცოცხალი, ბიჭური ბუნების წყალობით, ხან რაღაცას გადააყირავებდა, ხან კარგავდა და აფუჭებდა. მაგრამ ერთხელ უკვე განცდილი დამცირების შიშით, ის ცდილობდა მიეჩქმალა თავისი დანაშაული, ხოლო თუ გაუგებდნენ, გულუბრყვილოდ და უეშმაკოდ სხვებს გადააბრალებდა.

მშობლების შეხედულებით, ეს სიცრუე იყო, და სიცრუის წინააღმდეგ ხომ ყოველგვარი საშუალებებით შეიძლება ბრძოლა! ენერგიულ, სხარტ ბიჭუნას კუთხეში დააყენებდნენ. ეს კი მისთვის ნამდვილი წამება იყო: ფიზიკურად მას არ შეეძლო ერთ მდგომარეობაში გაჩერება და, რა თქმა უნდა, არღვევდა აკრძალვას. ამ ფაქტს მშობლები იღებდნენ როგორც გამოწვევას, განზრახ გაუგონრობას, თითქოს ბავშვი ორთაბრძოლაში იწვევდა უფროსებს და უფროსებსაც უკვე თავმოყვარეობის საქმედ მიაჩნდათ, რომ ამ ბრძოლაში გაემარჯვათ. ახლა ბავშვს სჯიდნენ კუთხეში დგომის „ორმაგი დოზით" და ამ სასჯელისგან რომ თავი რითიმე დაეღწია, ის ხან თავს მოიავადმყოფებდა, ხან კი ცრუობდა და სიცრუის წყალობით ისევ ახალ დასჯას იმსახურებდა. ასე შეიქმნა რაღაც მოჯადოებული წრე, რომლისგანაც გამოსავალი არ იყო: რაც უფრო ცდილობდნენ მშობლები თავიანთი ძალაუფლების გამოჩენას, მით უფრო ურჩი ხდებოდა შვილი.

ზოგჯერ შვილის სევდიან მზერას რომ წააწყდებოდნენ, მშობლები მზად იყვნენ თავი დაენებებინათ ბრძოლისათვის და სხვა გზები ეძებნათ. მაგრამ ამ ბავშვური თვალების სევდაში უკვე მაინც გამოკრთოდა ნამდვილი სიჯიუტე, ამაყი გამოწვევა და განზრახი უგულვებელყოფა და მშობლები განაგრძობდნენ შვილის ისევ იმ მეთოდით „აღზრდას".

ამასობაში ბიჭუნა იზრდებოდა, ჯან-ღონით ივსებოდა და, რამდენადაც შეიძლებოდა, ეჩვეოდა ჩხუბსა და დასჯას. ახლა ის ხშირად მიდიოდა სახლიდან, თანატოლებში თვითრწმენას იძენდა და თავისი „გამბედაობითა" და შეუპოვრობით აღტაცებაში მოჰყავდა ისინი. ჩვევათა ამ კომპლექსით მოვიდა ბიჭუნა სკოლაში და თუ ადრე დედას და მამას ეჯინებოდა, ახლა ჯიბრი მასწავლებლებზე გადაიტანა.

მასწავლებლების ჩივილის შემდეგ მშობლები ახალი ძალით შეეცადნენ დაეთრგუნათ ბავშვის სიჯიუტე და ყურმოჭრილ მონად ექციათ. მათ აზრადაც არ მოსვლიათ, რომ ეს ყველაფერი წვრთნას, მოთვინიერებას ჰგავდა. ასეთი მოთვინიერებულის კლასიკურ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ლომი, მათრახისა და ტკბილი კვერის წყალობით ცირკში რომ ოინბაზობითართობს მაყურებელს. წვრთნამ და სიმაძღრემ, კარჩაკეტილ გალიაში წლობით ყოფნამ ჩაჰკლა მხეცის მძლავრი ინსტიქტები და ახლა ნადირთა ხელმწიფის ძლიერ და უშიშარ იერს მხოლოდ მისი თავისუფალი წინაპრის დიდებაღა ანიჭებს.

მაგრამ ბიჭუნა ხომ სხვა იყო, ის ადამიანთა მოდგმას ეკუთვნოდა და უძველესი ინსტიქტები კი არა, სიამაყისა და ღირსების გრძნობა აღუდგა ძალდატანებასა და მუშტვრას. ეს იყო ამბოხი ჯერ კიდევ მოუმწიფებელი, გამოცდილებასა და გონიერებას მოკლებული სულისა. ამ ამბოხმა მიიყვანა ბიჭი ეგრეთწოდებულ „ძნელად აღსაზრდელ" ბავშვთა რიგებში.

ოჰ, ეს „ძნელად აღსაზრდელები!" აი, ესენია, რომ არღვევენ წესრიგს ბავშვთა დაწესებულებებსა და სკოლებში, ყურადღებას არ აქცევენ აკრძალვას, ამწარებენ მშობლებს და გამოუცდელ პედაგოგებს. ასეთი ბავშვები ან ზედმეტად აღგზნებულნი არიან ან, პირიქით, ინერტულნი, და ისევე არ გვანან ერთმანეთს, როგორც მათი აღმზრდელი ოჯახები.

ბავშვები, რომელთა ამგვარი საქციელი გამოწვეულია შემთხვევითი, მაგრამ გახანგრძლივებული კონფლიქტით, უფრო ადვილად ექვემდებარებიან კარგ გავლენას. სითბო, გულახდილი საუბარი, მეგობრული დამოკიდებულება, ჩვეულებრივ, კეთილ ზემოქმედებას ახდენს მათზე და ბავშვის მტრული განწყობილება ნელ-ნელა ქრება.

გაცილებით სახიფათოა, როცა ბავშვები თავს ითავისუფლებენ მშობელთა გავლენისაგან, გარბიან შინიდან, ეჩვევიან შეგნებულ, სულ უფრო და უფრო დაოსტატებულ სიცრუეს, ეშმაკობას და, ბოლოს, ქურდობასაც. მათში მკვიდრდება მიდრეკილება იოლი და უზრუნველი ცხოვრებისადმი. და აქ ბრძოლა გვიხდება არა ყოფაქცევის ფორმების, არა აშკარა, თავშეუკავებელი აფეთქებების წინააღმდეგ, არამედ იმ თვისებათა წინააღმდეგ, რომლებიც თავისი არსით უცხოა ჩვენი მორალისათვის. ზოგჯერ, ამგვარი ბავშვები ჩუმი და გამგონენი ჩანან, უყოყმანოდ ასრულებენ ყოველგვარ დავალებას და ცდილობენ თავი აარიდონ ღია კონფლიქტს. მაგრამ ეს არის მხოლოდ და მხოლოდ თვალთმაქცობა და ეს თვალთმაქცობა მით უფრო საშინელია, რაც უფრო ადრე ჩნდება.

წლების განმავლობაში ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა ბედი სულ სხვადასხვაგვარად წყდება: ერთი ნაწილი, ისინი, ვისაც მძლავრი ნერვული სისტემა აქვთ, აკვირდება ცხოვრებას და მალე იმსჭვალება ზიზღით სიცრუისა და სიმხდალისადმი. მათ თანდათან იტაცებს სერიოზული საქმიანობა და იზრდებიან სასარგებლო, ძლიერ ადამიანებად. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ხდება ექიმისა და პედაგოგების, ბავშვის ფსიქოლოგიაში გარკვეული უფროსების წყალობით. ბავშვთა სხვა ნაწილი უფრო დიდხანს ინარჩუნებს ადრეულ ბავშვობაში შეძენილ ცუდ თვისებებს და ჩვევებს და უქნარები და მუქთახორები ხდებიან. ასეთ ბავშვთა გამოსწორება ძალიან მძიმეა და მშობლებს არ უნდა ჰქონდეთ იმის იმედი, რომ ასაკის მომატებასთან ერთად ყველაფერი თავისთავად გაივლის. ამგვარ ბავშვებზე ზემოქმედების მეთოდები მეტად ინდივიდუალურია და არ არსებობს არვითარი გამზადებული რეცეპტები ცხოვრების ყოველგვარ შემთხვევისათვის. ოღონდ ერთი რამ კია ცხადი: ფიზიკური დასჯა, მუდმივი იძულება, ძალდატანება ბავშვებში ავითარებს უარყოფით თვისებებს. რა თქმა უნდა, შეიძლება ბავშვის ნებისყოფა დავთრგუნოთ, შეიძლება ბავშვი დავაშინოთ, ვაიძულოთ უყოყმანოდ შეასრულოს ყოველგვარი ბრძანება; მაგრამ ნამდვილ ადამიანებად გაიზრდებიან მხოლოდ ინიციატივიანი, თამამი, მოუსვენარი გულისა და გონების ბავშვები, რომლებსაც თუ საჭირო იქნება, თავის თავის დაცვაც შეუძლიათ.

**ა. ფონარიოვი,**
სსრკ სამედიცინო აკადემიის პედიატრიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

# ცხიმიანი კანი

მშრალი კანისგან განსხვავებით ცხიმიანი კანი ყოველთვის პრიალებს (ბრწყინავს), თითქოს ცხიმწასმულია, განსაკუთრებით კი იმ ადგილებში, სადაც ქონის ჯირკვლებია: შუბლზე, ცხვირზე, საფეთქლის რკალზე, ნიკაპზე. ცხიმის გაძლიერებული გამოყოფისას საჭიროა სისტემატური მოვლა, რადგანაც ჯირკვლის ყელში ცხიმი გროვდება, ეცობა გამოსასვლელი და ჩნდება ფერისმჭამელები. ფერისმჭამელაში მოხვედრილი მიკრობი ხელშემწყობ პირობებს პოულობს გასამრავლებლად და იწვევს ანთებას. ჩნდება ჩირქოვანი ფერისმჭამელები. ეს გართულება უფრო ხშირია 17-25 წლის ასაკში. ამიტომ დილას და საღამოს სახის კანი ცხელი წყლით და საბავშვო საპნით დაიბანეთ, მერე გადაივლეთ ცივი წყალი. ცხელი და ცივი წყლის მონაცვლეობა ხელს უწყობს სისხლის მიმოქცევის გაუმჯობესებას. ამის შემდეგ სახე დაიზილეთ რომელიმე ცხიმგამცლელი ნაერთით, მაგალითად: 1) ორპროცენტიანი სალიცილის სპირტით; 2) კიტრისა და არაყის ნაყენით (წვრილად დაჭრილ ახალ კიტრს დაასხით 100 გრ არაყი და დადგით 7 დღე, მერე დოლბანდში გაწურეთ და ისე იხმარეთ); 3) ერთ ლიმონის წვენს დაუმატეთ 200 გრ არაყი, ერთი კვერცხის ათქვეფილი ცილა, კარგად აურიეთ და ამით დაიზილეთ სახე.

პუდრის ქვეშ იხმარეთ კრემები: „კრისტალი", „თეთრი ღამე", „თოვლის ფიფქი" და სხვა. შეიძლება აგრეთვე სახის დაბანა ნიშადურის სპირტის ხსნარით (ერთი სუფრის კოვზი ნიშადურის სპირტი ერთ ლიტრ ადუღებულ წყალზე). ცხიმიანი კანის დროს რეკომენდებულია 15-20 წუთით სახეზე დაიდოთ კარგად ათქვეფილი კვერცხის ცილა. ეს ჭიმავს კანის პორებს და ამაგრებს კანს.

ცხიმის გამოყოფა დამოკიდებულია ორგანიზმის საერთო მდგომარეობაზე. ამიტომ, პირველ რიგში ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას და რჩევისათვის მიმართეთ ექიმ-კოსმეტოლოგს. დიდი მნიშვნელობა აქვს კუჭ-ნაწლავის ნორმალურ მოქმედებას და ნერვული სისტემის განმტკიცებას. კვების მენიუდან უნდა გამორიცხოთ: ცხარე კერძები, შემწვარი ხორცი, ტკბილეული, თაფლი. უფრო ხშირად მიიღეთ რძის პროდუქტები, ბოსტნეული, ხილი; ზოგჯერ დაიცავით რძის-მჟავას (მაწონი, კეფირი, ხაჭო) დიეტა. ცხიმიანი კანის მქონეთათვის სასარგებლოა სპორტის ყველა სახე, განსაკუთრებით ფიზიკური ვარჯიშები, სხეულის სველი ტილოთი დაზელა, ბანაობა და მზე.

ნიკაპის კანის ჩამოკიდების, ღაბაბის გაჩენის შემთხვევაში საჭიროა მიმართოთ ექიმ-კოსმეტოლოგს. კრემის დადება ან რაიმე ხსნარით სახის დაზელა უნდა ხდებოდეს მსუბუქი მოძრაობით, კანის გაუჭიმავად და შემდეგი თანმიმდევრობით: შუბლის შუა ნაწილიდან საფეთქლებისაკენ; საფეთქლებიდან თვალის შიგა კუთხეებისაკენ; ზემო ტუჩის შუა ნაწილიდან ლოყის შუა ნაწილისაკენ; ნიკაპის შუა ნაწილიდან ლოყებისაკენ. ღამით კრემი დაიდეთ მხოლოდ იმ ადგილებზე, სადაც გაქვთ ან გეწყებათ ნაოჭები.

ექიმი-კოსმეტოლოგი
**ირინე წერეთელი**

# ძმარი

მწვანილი რომ გააცოცხლოთ, ერთი საათით ჩადეთ ცივ წყალში და მერე დაუმატეთ ერთი სუფრის კოვზი ძმარი.

კარტოფილს ხარშვისას მწვანე ლაქები არ დააჩნდება თუ წყალს დაუმატებთ ცოტა ძმარს.

ხელიდან ან ჭურჭლიდან თევზის არასასიამოვნო სუნის მოსაცილებლად ხელები დაიბანეთ და ჭურჭელი გარეცხეთ ორი ლიტრი წყლისა და ერთი სუფრის კოვზი ძმრის ნარევით.

გასუფთავებული სოკოები არ გაშავდება თუ მას მარილიან და ძმრიან წყალში ჩაალაგებთ.

ახალი კარტოფილის გაფცქვნისას ხელები რომ არ გაგიშავდეთ, წინასწარ დაისველეთ ძმარში და მერე არ შეიმშრალოთ ისე განაგრძეთ საქმე. კარტოფილს და ბოსტნეულს წმენდენ უჟანგავი ფოლადის დანით.

პურის კარადაში სპეციფიკური სუნი რომ გაქრეს, კარადის შიდა კედლები კარგად განიავეთ და მერე გაწმინდეთ ძმარში დასველებული ჩვრით.

ემალის ჭურჭლის კედლებზე დაგროვილი ნალექის მოსაცილებლად ორი საათით ადუღეთ მასში შემდეგი ნარევი: წყალი, ხუთი სუფრის კოვზი ძმარი ან ორი ჩაის კოვზი ძმრის ესენცია. ნალექის მოცილების შემდეგ გარეცხეთ ცივი წყლით.

მაგიდის მუშამბა რომ არ დასკდეს, უნდა გარეცხოთ თბილი წყლით უსაპნოდ და უსოდოდ. შეიძლება აგრეთვე მუშამბის გასარეცხად იხმაროთ ძმრისა და რძის ნარევი.

ემალის ჭურჭელს ამოტეხილ ნაწილებში ჟანგი რომ შენიშნოთ, გაწმინდეთ ძმარში დასველებული ტამპონით.

ოთახში ბუზები რომ არ შემოფრინდნენ, ფანჯრის გაღებულ რაფაზე წაუსვით ძმარი.

ძველი, არაელასტიური ღრუბელი რბილი გახდება თუ მას რამდენიმე საათით გააჩერებთ ძმარში და მერე გაავლებთ თბილ წყალში.

ქსოვილის შეღებვის, ავეჯის და ნოხების გაწმენდის დროს სასურველია ძმრის ხმარება, რადგანაც ძმარი ამ ნივთებს უბრუნებს პირვანდელ ხასხასა ფერს. ამიტომ როცა რომელიმე საგანს ფერთხავთ, მას ზევიდან დააფარეთ ერთი ლიტრი წყლისა და ერთი სუფრის კოვზი ძმრის ნარევში დასველებული ჩვარი.

თუ მინის ჭურჭელს ან ფლაკონს საცობს ვერ მოხსნით, მაშინ საცობის ყელთან დააწვეთეთ ერთი წვეთი ძმარი და ის ადვილად მოიხსნება.

# ჭურჭლის მოვლა

ალუმინის ჭურჭელი კარგად ირეცხება ცხელი წყლით და საპნით. ამას შეიძლება დაემატოს ცოტაოდენი ნიშადურის სპირტი. ალუმინის ქვაბის კედლებს სიშავეს აცილებს ძმრიან ხსნარში დასველებული ჩვარი.

ახალ ქვაბში ჯერ უნდა ადუღოთ მარილწყალი (5 ჩაის კოვზი მარილი 1 ლიტრ წყალზე) და მერე იხმაროთ. ქვაბში, რომელშიც საჭმელი მოიხრაკა, ჩაასხით წყალი, დაუმატეთ მარილი ან სოდა და ადუღეთ, ვიდრე ხრაკი არ მოცილდება. ზოგიერთი პროდუქტის (ცომი, რძე, კვერცხი) ხმარებისას ჭურჭელი ჯერ უნდა გაირეცხოს ცივი წყლით, მერე ცხელი წყლით.

ყავის ჭურჭელი კარგად გაირეცხება თუ შიგ წამოადუღებთ სუფთა წყალს, რომელშიც ლიმონის ნაჭერი იქნება ჩადებული.



ჩაიდანს ან ქვაბს ნადუღი (წიდა) რომ მოაცილოთ, ჭურჭელში ჩაასხით 3-5 სუფრის კოვზი ძმარი (ერთ ლიტრ წყალზე) და ადუღეთ ერთი საათის განმავლობაში. მერე ჭურჭელი გარეცხეთ სოდიანი ცხელი წყლით. შეიძლება იხმაროთ ფოსფორიც (1 სუფრის კოვზი 1 ლიტრ წყალზე), ადუღეთ დაახლოებით ორ საათს და მერე წიდა მოაცილეთ მაგარი ჯაგრისით და წყლით.

ახალი ტაფა უნდა გამოიწვას ქონით, გაიხეხოს მარილით და მოირეცხოს თბილი წყლით, ხოლო ნახმარი გაირეცხოს ქაღალდით, მერე



მსხვილად დაფქული მარილით, ბოლოს თბილი წყლით.

დანა, ჩანგლები და კოვზები ცალ-ცალკე უნდა შეინახოთ, რადგანაც ლითონი სხვა საგნების შეხებისას ჩლუნგდება.

საკეპი მანქანა ქურაზე არ გააშროთ, ვინაიდან დანა ჩლუნგდება და შავდება. გარეცხვის შემდეგ საკეპი მანქანა გაწმინდეთ თეთრი ქაღალდით.

ვერცხლის ნივთები ჯერ უნდა გაირეცხოს საპნიანი თბილი წყლით, მერე გაიწმინდოს ნიშადურისა და ცარცის ნარევით (ფაფა), როცა გაშრება, გააპრიალეთ მშრალი შალის ჩვრით.

მომინანქრებული ჭურჭელი კარგად იწმინდება ჯაგრისით ან საჭმელი სოდის ხსნარში (1 სუფრის კოვზი სოდა 1 ლიტრ წყალზე) დასველებული მაგარი ჩვრით, ამის შემდეგ გარეცხეთ სუფთა წყლით და გაამშრალეთ ფლანელით.

ამავე ხსნარს ხმარობენ ქაშანურის ნაკეთობის (არამოჭიქული) გასაწმენდად.

მომინანქრებული ჭურჭელი იწმინდება აგრეთვე წვრილად დანაყილი მარილით და რბილი სველი ჩვრით, მერე კი თბილი წყლით.

რეკომენდებული არ არის ცხელ ჭურჭელში ცივი წყლის ჩასხმა. ეს მინანქარს ხეთქავს.

მომინანქრებულ ჭურჭელს მოხრაკული საჭმლის ნარჩენებს ადვილად მოვაშორებთ თუ შიგ ჩავასხამთ წყალს, დავუმატებთ სასმელ სოდას და ასე დავტოვებთ რამდენიმე ხანს.

**ლ. შოთაშვილი**



# შალეულის გარეცხვა

შალეულის გაწმენდა ორი მეთოდით ხდება: ქიმიური წმენდა და ოჯახურ პირობებში გარეცხვა.

შალეული არასწორი რეცხვისას ითელება, ზომაში კლებულობს, ფორმას კარგავს და უხეში ხდება. ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ მისი გარეცხვის წესები.

როცა ტანსაცმლის რეცხვას იწყებთ, უნდა ჩაატაროთ ე. წ. „პროფილაქტიკა": კარგად გაბერტყოთ, გაწმინდოთ უკუღმა პირიდან, სველი ჯაგრისით გააცალოთ ნახაზებში ჩაცვენილი მტვერი. მერე ჩადეთ ტაშტში, რომელშიც თბილი წყალი ასხია. წყლის ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 40 გრადუსს (უფრო მაღალი ტემპერატურის წყლის ხმარება იწვევს ქსოვილის შეთელვას და მისი ზომის შემცირებას). რეცხვის დროს წყლის ტემპერატურის მკვეთრი ცვლილება და ქსოვილის წინასწარ წყალში დალბობა არაა რეკომენდებული. საჭიროა დაიცვათ ერთნაირი ტემპერატურა როგორც რეცხვის, ისე გავლების დროს. შალეულის რეცხვა საჭიროებს წყლის მეტ რაოდენობას.

წყალი უნდა იყოს რბილი. უმჯობესია წვიმის ან თოვლის წყალი. ქსოვილმა ბზინვარება და სინაზე რომ შეინარჩუნოს, წყალს უნდა დაუმატოთ ღვინის ძმარი (ერთ ვედრო წყალზე 5 სუფრის კოვზი ძმარი). შეიძლება წყლის ხელოვნური დარბილება: წყალი გადაადუღეთ, რომ ზედმეტი მინარევებისაგან გასუფთავდეს და მერე გააცივეთ ზემოაღნიშნულ ტემპერატურამდე. 1 ვედრო წყალს ჩაუმატეთ 1 სუფრის კოვზი ნიშადურის სპირტი ან ფხვნილი „ნოვოსტი" (2 სუფრის კოვზი 3-4 ლიტრ წყალზე). მერე ააქაფეთ ტაშტში, ჩადეთ შიგ ქსოვილი და გააჩერეთ 5-10 წუთით. შეგიძლიათ დაამზადოთ საპნის ნაყენიც: მაღალხარისხოვანი საპონი წვრილად დაჭერით და წყალში ჩაყარეთ. წყალი ადუღეთ მანამდე, ვიდრე საპონი მთლიანად არ გადნება, გაწურეთ დოლბანდში, დაუმატეთ თბილი წყალი (ტემპერატურა არ უნდა აღემატებოდეს 40-45 გრადუსს) და შემდეგ გარეცხეთ მასში შალეული. გავლების დროს წყალს დაუმატეთ 1-2 სუფრის კოვზი ძმარი ან ნიშადურის სპირტი.

მუქი ფერის ან უხეში ქსოვილი შეიძლება გარეცხოთ მდოგვის ხსნარში (1 ვედრო წყალზე 100-150 გრ მდოგვის ფხვნილი). ფხვნილი გახსენით წყალში ისე, რომ ცომის მაგვარი მასა მიიღოთ, ჩადეთ დოლბანდში და ამოძრავეთ ხელით მანამდე, ვიდრე მთლიანად არ გადნება. მერე დაასხით ნორმალური ტემპერატურის წყალი და გარეცხეთ ქსოვილი.

შალეულის გასარეცხად შეიძლება იხმაროთ თეთრი ლობიოს ნახარში წყალიც. 200 გრ ლობიო ხარშეთ 2 ლიტრ წყალში, გაწურეთ ორმაგ დოლბანდში და დაუმატეთ გასარეცხ წყალს.

ქსოვილს რეცხვის დროს საპონი არ უნდა წაუსვათ, არც ისე ძლიერად რეცხოთ, როგორც ამას თეთრეულის დროს აკეთებთ. ასევე დაუშვებელია გარეცხილი ქსოვილის გაწურვა ან გადაგრეხა, რადგანაც გაშრობის შემდეგ ზოლები დააჩნდება და მოხდება მისი დეფორმირება. გარეცხვის შემდეგ სასურველია ქსოვილი გაავლოთ ძმრიან წყალში ან ნიშადურის სპირტიან წყალში.

გარეცხილი ქსოვილი დაკიდეთ ტაშტის ზემოთ, როცა წყალი ჩამოიწურება, გაახვიეთ ხაოიან პირსახოცში ან რამოდენიმეჯერ მოკეცილ ზეწარში. ასეთ მდგომარეობაში გააჩერეთ მანამდე, ვიდრე პირსახოცი ან ზეწარი არ დასველდება. მერე მაგიდაზე დააფინეთ ძველი ზეწარი და დაადეთ ზემოდან გასაშრობი ქსოვილი და ხელით გაასწორეთ. რეკომენდებული არ არის შალეულის მზეზე ან ცეცხლთან გაშრობა, რადგანაც ზედმეტი ტემპერატურის დროს ქსოვილს ეკარგება ფერი, ბუნებრივი ბრწყინვალება და სინაზე, უხეში და უფერული ხდება. გაშრობა კარგია ოთახის ტემპერატურაზე.

შალეული სხვადასხვა ხარისხისა და ფერისაა. ღია, თეთრი ან ნაზი ფერის ქსოვილის გასარეცხად კარგია იხმაროთ „ნოვოსტი". თუ ნაქსოვი თეთრია და ზედმეტი სიყვითლე მიიღო, მაშინ მისი ფერის აღსადგენად საჭიროა გავლების დროს წყალში ჩაუმატოთ წყალბადის ზეჟანგი (პერეკისი), 1 ლიტრ წყალზე 200 გრ პერეკისი და რამდენიმე წვეთი ნიშადურის სპირტი. წყალი აიღეთ ისეთი ანგარიშით, რომ მასში მთლიანად დაიფაროს ქსოვილი. პერეკისიან წყალში შალის ნართს ან ქსოვილს ტოვებენ 4 საათის განმავლობაში, ოღონდ დახურულ მომინანქრებულ ქვაბში.

შალეული ასე დააუთოვეთ: საუთოვებელ ფიცარზე დააფინეთ სქელი საფენი, დადეთ უკუღმა პირიდან და ზევიდან დააფინეთ გაწურული სველი ტილოს ნაჭერი, შემდეგ გადმოაბრუნეთ კარგ პირზე და ოდნავ გააუთოვეთ.

ასეთი წესების დაცვით შეგიძლიათ ხანგრძლივად შეუნარჩუნოთ შალეულს თავისი ფორმა, ფერი და სინაზე.

**ევა გიგინეიშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ფრანგული იუმორი

### ავადმყოფის ლოდინი

— უკვე სამი წელიწადია ლოგინში წევხართ, ალბათ სერიოზული ავადმყოფობა გჭირთ?

— აბა, რა ვიცი. სამი წლის წინათ ავად გავხდი, გამოვიძახე ექიმი, მითხრა, კიდრე მეორედ არ მოვალ, იწექითო. ჰოდა, მეც ყოველდღე ველოდები.

### სიყვარული სიკვდილის შემდეგ

ერთი ქვრივი კაცი დანაღვლიანებული სეირნობდა.

— რა მოგივიდათ, — ჰკითხეს მას, — თქვენ ხომ მაინც არ გიყვარდათ ცოლი?

— ეჰ, მართალია, მაგრამ, ვინ არ იცის, რომ მტკივნეული კბილის ამოღება უფრო ძნელია?!

### 1965 წლის მარტის ნომერში დაბეჭდილი კროსვორდის პასუხი

**ჰორიზონტალურად:** 1. ბუა. 4. ია. 5. ფა. 9. პოლიგამია. 12. ნიუ. 14. ინა. 16. ეზო. 17. ანი. 19. კორსეტი. 23. ვუალი. 24. ენა. 25. დიანა. 27 პუდრი. 29. ათენა. 30. ეროსი. 31. გაფრინდაშვილი. 34. ლევირატი. 37. ჰერა.

**ვერტიკალურად:** 2. ნინო. 3. ზავი. 6. პა. 7. ალო. 8. პაი. 10. მაინი. 11. პომადა. 12. ნოე. 13. უთო. 14. იზა. 15. ათი. 18. დეკოლტე. 19. კარადა. 20. რომანი. 21. იოვანა. 22. ჰალვა. 25. დონა. 26. აიდა. 27. პიკე. 28. იოტი. 31. გეა. 32. ნეილონი. 33. ლედი. 35. ბალი. 36. გეტრი.

### ფოტოგრაფთან

— მე არ მიმაქვს ეს სურათი, — უთხრა გაბრაზებულმა ქალმა ფოტოგრაფს, — შეხედეთ, მთელი ათი წლით ბებერი ვჩანვარ!

— მერე რა მოხდა, ქალბატონო, — უპასუხა ფოტოგრაფმა, — სამაგიეროდ ათი წლის განმავლობაში აღარ დაგჭირდებათ ჩემთან მოსვლა.

### სათვალე

ერთმა კაცმა ჰკითხა მეორეს:

— რატომ ხმარობთ სათვალეს ძილის დროს?

— იცით, იმდენად ახლომხედველი გავხდი, რომ სიზმარშიც კი ვერ ვარჩევ ხალხს.

* * *

ქალმა ჰკითხა მოსამსახურეს:

— მარი, რამდენი წუთი მოანდომეთ კვერცხის მოხარშვას?

— ცხრა, ქალბატონო.

— კი მაგრამ, მე ხომ გითხარი მხოლოდ სამი წუთი კმარა მეთქი.

— მართალია ქალბატონო, მაგრამ მე ხომ სამი კვერცხი მოვხარშე და სამჯერ სამი... იქნება ცხრა.

### საღებავები

ქალმა ჰკითხა კაცს:

— რას მირჩევთ, როგორ გამოვეწყო საღამომასკარადისათვის?

— სულ უბრალოდ, — უპასუხა კაცმა, — მოიხსენით კბილის პროთეზი და თმის პარიკი, ნუ წაისვამთ საღებავს ტუჩებსა და თვალებზე და ვერავინ გიცნობთ.

ფრანგულიდან თარგმნა
ნელი გასიტაშვილმა

## ნარევი

კოსმეტიკური საშუალება, რომელიც ახლახან აღმოაჩინეს შონში (უნგრეთი), ეკუთვნის დაახლოებით 300 წელს (ჩვენს წელთაღრიცხვამდე). ქალის ჩონჩხთან იპოვნეს ყუთი, რომელშიც იყო ცხოველური წარმოშობის ღრუბელის გუნდა სახის გასაწმენდად. ქიმიკოსებმა დაადგინეს, რომ იგი ხმარებაში იყო დიდი ხნის განმავლობაში. ღრუბელს ინახავდნენ სპეციალურად შეზავებულ „ტკბილ" წყალში ამ შინაური წამლით სახის გაწმენდისას სწორდებოდა ნაოჭები, იხსნებოდა პორები, ხდებოდა სისხლის მოწოლა და სახე ხდებოდა ახალგაზრდა და ლაულაუა.

...ადამიანი ერთი დღის განმავლობაში დგამს 20 ათას ნაბიჯს, ერთ წელიწადში — 70 მილიონს, 70 წლის განმავლობაში — 500 მილიონ ნაბიჯს. მაშასადამე, ადამიანს თავისი სიცოცხლის მანძილზე შეუძლია ცხრაჯერ შემოუაროს დედამიწას ეკვატორზე გავლით, ან დაფაროს მანძილი დედამიწიდან მთვარემდე.

...ადამიანის თვალი იწონის 4.000 ჯერ ნაკლებს, ვიდრე მთელი მისი ტანი, ზოგიერთი რვაფეხას თვალი კი $^1/_4$-ია მისი სხეულისა.

...ადამიანის მხედველობითი შეგრძნება სიბნელეში 2.000 ჯერ მეტია, ვიდრე სინათლეში.

პანამის არხის რაიონში იზრდება ეგრეთწოდებული „გასანათებელი ხეები", მათი მცირე ზომის ნაყოფი, რომელიც შეიცავს ცხიმის დიდ პროცენტს, ფორმით სანთელს მოგვაგონებს. იქაური მცხოვრებლები ამ ხის ნაყოფს შუაში უკეთებენ პატრუქს და საღამოობით „ამ სანთლებს" ანთებენ თავიანთ ბინებში. ასეთი სანთელი იწვის 3-5 საათის განმავლობაში, იმ განსხვავებით, რომ იგი ჩვეულებრივი სანთელივით არ ბოლავს.

გარეკანის პირველ გვერდზე — ნანა ალექსანდრია. ფერადი ფოტო დ. იაკობაშვილის. გარეკანის მეოთხე გვერდზე ფერადი ფოტო ნორა ანთიძის.

რედაქტორი
თეო აბაშიძე

სარედ. კოლეგია: მ. ბარათაშვილი, ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), ნ. ჯავახიშვილი.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5,3.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/III-65 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ტირაჟი 60.000 შეკვ. 631 უე 03048 ფასი 30 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1, ლენინის ქ. № 14.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი".

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».

Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იუმორი



უსიტყვოდ



მიიზიდა

ავტორი დ. ბაშელეიშვილი



უსიტყვოდ



ნატურიდან

ИНДЕКС 76178

608/103

